ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 161 (20907) — ხუთშაბათი, 12 ივლისი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

მოსკოვში მუშაობას განაგრძობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა

10 ივლისს ხალამოს სხდომაზე დელეგატებმა მოისმინეს ვ. ა. მედვედევის, — სკკპ XXVIII ყრილობის საპროგრამო განცხადების — „ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ“ — პროექტის მოსამზადებელი კომისიის ხელმძღვანელის ინფორმაცია.

შემდეგ გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის არჩევნები.

ამის შემდეგ ყრილობის მონაწილეებმა განაგრძეს სკკპ XXVIII ყრილობის საპროგრამო განცხადების პროექტის განხილვა.

ხალამოს სხდომის დასასრულს ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ გამოაქვეყნა კენჭისყრის შედეგები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად არჩეულია მ. ს. გორბაჩოვი. დელეგატებმა დაამტკიცეს ხმის დამთვლელი კომისიის ოქმი.

ყრილობის მონაწილეთა წინაშე მოკლე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის პრეზიდენტმა მ. ს. გორბაჩოვმა.

1990 წლის 11 ივლისს მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, მუშაობა განაგრძო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობამ.

დილის სხდომა მიმდინარეობდა ა. ნ. მუთალიბოვის — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, აზერბაიჯანის სსრ პრეზიდენტის თავმჯდომარეობით.

ყრილობაზე გრძელდებოდა რეზოლუციათა პროექტების განხილვა.

შესვენების შემდეგ სხდომას თავმჯდომარეობდა მ. ს. გორბაჩოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

დელეგატებმა განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილის თანამდებობაზე დასახელებული კანდიდატურები. ფარული კენჭისყრის სიაში შეტანილი იყვნენ ა. ს. დუდირევი, ვ. ა. ივაშკო, ი. კ. ლიგაჩოვი.

შემდეგ დელეგატებმა განიხილეს ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის პოსტზე დასახელებული კანდიდატურები და კენჭისყრის სიაში დატოვეს ვ. ა. პროხოროვი და ბ. კ. პუგო.

ხალამოს სხდომაზე ყრილობამ მოიწონა საპროგრამო განცხადება „ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ“. შემდეგ მიიღეს დადგენილება, რომელიც ყველა კომუნისტს ავალებს იხელმძღვანელონ XXVIII ყრილობის საპროგრამო განცხადებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამის მიღებამდე.

ბოლო სხდომაზე, რომელსაც ა. ი. ლუკიანოვი უძღვებოდა, გაიმართა კენჭისყრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მოადგილისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის არჩევნების გამო.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობის

რეზოლუციები

სკკპ XXVIII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშისა და პარტიის ამოცანების შესახებ

ყრილობა, რომელმაც მოისმინა და განიხილა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიში — მომხსენებელი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, — აღნიშნავს, რომ პარტიის XXVII და XXVIII ყრილობებს შუა პერიოდში ღრმა ცვლილებანი მოხდა საზოგადოების ცხოვრებაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელობის კოლექტიური ორგანოები, პარტიას, მთელ პროგრესულ ძალებს მიზნად უსახავენ ჰუმანიზმისაკენ, დემოკრატიის, სოციალური სამართლიანობისაკენ ქვეყნის რევოლუციურ შემობრუნებას.

ვძლევთ ტოტალიტარულ სტალინურ სისტემას, რომელმაც უდიდესი ზიანი მიაყენა ქვეყანას, ხალხს, პარტიას, თვით სოციალისტურ იდეას. ყალიბდება თავისუფალ მოქალაქეთა საზოგადოება, რომელსაც საფუძვლად უძევს სოციალისტური ღირებულებანი.

რადიკალურად იცვლის სახეს მთელი პოლიტიკური ზედნაშენი, მტკიცდება ნამდვილი დემოკრატია ადამიანის უფლებების დამკვიდრებით, თავისუფალი არჩევნებით, მრავალპარტიულობით.

ზეცენტრალიზებული სახელმწიფო გარდაიქმნება ნამდვილ სამოკავშირეო სახელმწიფოდ, რომელიც დაფუძნებული იქნება ხალხთა თვითგამორკვევასა და ნებაყოფლობითს ერთიანობაზე.

იდეოლოგიური დიქტატი ადგილს უთმობს თავისუფალ აზროვნებასა და სიჯარობას, ინფორმაციულ კარგახსნილობას.

მიმდინარეობს სახელმწიფო-მონოპოლიური წარმოებითი ურთიერთობის დემონტაჟი, რომელიც საკუთრებისა და შრომის შედეგებისაგან მშრომელთა გაუცხოებას იწვევდა.

იქმნება სოციალისტურ მწარმოებელთა თავისუფალი შეჯიბრების პირობები.

ამრიგად, გარდაქმნის პერიოდში მიღებულმა პარტიულმა გადაწყვეტილებებმა სახალხო ხელისუფლების აღორძინების, დემოკრატიული სახელმწიფოს სამართლებრივი საფუძვლების შემუშავების, ახალი პოლიტიკური აზროვნების ფორმირების, ეკონომიკური რეფორმის განხორციელებისათვის გამიზნული პრაქტიკული მოქმედების საშუალება შექმნა. ყოველივე ეს პოლიტიკურ ცხოვრებაში აბამს მილიონობით ადამიანს, ხელს უწყობს გარდაქმნის შეუქცევადობას.

ყრილობა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პარტიის ბედი, მისი ისტორიული პერსპექტივები პირდაპირ არის დაკავშირებული გარდაქმნის მიზნების მიღწევასთან, ხალხის ცხოვრების გაუჯობესებასთან. ყრილობა მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მკვეთრ განახლებას, დოგმატიზმისაგან განთავისუფლებას, მასებში პოლიტიკური მუშაობის ხელოვნების, იმ უნარის დაუფლებას, რომ მიიზიდოს ადამიანები სამართლის ძალით, არგუმენტებით, კონსტრუქციულად ითანამშრომლოს სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებთან და, რაც მთავარია, — კონკრეტული საქმეებით.

ყრილობა აცხადებს: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია — თანამოაზრეთა ნებაყოფლობითი კავშირი, სოციალისტური არჩევნისა და კომუნისტური პერსპექტივის პარტიად რჩება, თავისი პოლიტიკით იგი გამოხატავს და იცავს მუშათა კლასის, გლეხობის, ინტელიგენციის, მთელი მშრომელი ხალხის ინტერესებს. ეს განუყოფელია ზოგადსაკაცობრიო, ჰუმანისტური ღირებულებებისადმი, სოციალური სამართლიანობისადმი მისი ერთგულებისაგან. კომუნისტთა უმრავლესობა პატიოსნად ემსახურებოდა და ემსახურება ხალხს, ისინი პასუხს არ აგებენ სტალინისა და მისი თანამზრახველების დანაშაულისათვის, უძრაობის წლებში პოლიტიკური ხელმძღვანელობის შეცდომებისათვის.

ყრილობა ილაშქრებს ავტორიტარული აზროვნების წინააღმდეგ, მხარს უჭერს მარქსის, ენგელსისა და ლენინის მემკვიდრეობის, სოციალისტური თეორიის შემოქმედებითს განვითარებას, XX საუკუნის ისტორიული გამოცდილების, თვით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმიანობის, მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მიღწევების ღრმა გააზრებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებს მეცნიერებით, განათლებით, კულტურით გამოხატული საზოგადოების ინტელექტუალური სიმდიდრის გამრავლებას.

ყრილობა უყოყმანოდ გმობს თავდასხმებს ვ. ი. ლენინის პიროვნებაზე. მისი როგორც პოლიტიკოსისა და მოაზროვნის დაცვა ციოლსწამებისაგან, სახელის გატეხისაგან, იგრეთვე ფორმალური პატივისა და ხოტბა-დიდებისაგან თითოეული კომუნისტის, პატიოსანი ადამიანის ვალია.

ყრილობა უარყოფს ცდებს დანერგონ და გაავრცელონ საზოგადოებაში ანტიკომუნიზმი და ანტისაბჭოურობა, ექსტრემიზმი სოციალიზმის დეფორმაციებისა და პარტიის შეცდომების კრიტიკის ნიღბით, გამოხატავს მტკიცე განზრახვას ყველა კანონიერი საშუალებებით წინააღეგდეს პარტიის ეკონომიკური თუ პოლიტიკური შევიწროების ცდებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია თანამიმდევარი ინტერნაციონალისტების პარტიაა, რომელიც გულისხმიერად ეკიდება ეროვნულ ინტერესებს, მოთხოვნილებებსა და წეს-ჩვეულებებს, ვერ ურიგდება ნაციონალიზმს, შოვინიზმსა და რასიზმს, რეაქციული იდეოლოგიის ვერავითარ გამოვლინებას.

ყრილობას საარსებო ამოცანად მიაჩნია ნამდვილად უზრუნველყოს პარტიული მასების ძალაუფლება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში, თითოეული კომუნისტის რეალური შესაძლებლობა, მონაწილეობდეს პარტიის პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში, პირველად ორგანიზაციათა როლის ძირეულ ამაღლებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეურ-პოლიტიკური მთლიანობა ეფუძნება პარტიულ ორგანიზაციათა თვითმმართველობის საწყისებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა დამოუკიდებლობას.

ყრილობას უაღრესად მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ პარტიული ორგანიზაციები აქტიურად მოხაწილეობდნენ მუშათა და გლეხთა მოძრაობაში, რომელიც ქვეყანაში ღორძინდება.

მრავალპარტიულობის პირობებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მზად არის კანონის საფუძველზე სხვა პარტიებთან და მოძრაობებთან ღია შეჯიბრებისა და თანამშრომლობისათვის, მათ შორის არჩევნებსა და საპარლამენტო საქმიანობაში.

ყრილობა ადასტურებს: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარდაქმნისა და რევოლუციური განახლების კურსი შეესაბამება ქვეყნის ძირეულ ინტერესებს.

ამავე დროს, მისი რეალიზაციის დროს სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და სამდივნო საერთაშორისო ასპარეზზე მხედველობაში განსახორციელებელ კონკრეტულ ღონისძიებათა ეკონომიკურ, სოციალურ და ზნეობრივ შედეგებს. ღონისძიების წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია, კოოპერატივების ორგანიზაციის პრაქტიკა, რეგიონალურ სამეურნეოთაშორისო და დამოუკიდებლობაზე საწარმოთა გადასვლა და მთელი რიგი სხვა დიდი აქციები ხორციელდებოდა უსისტემოდ, პარტიულ ორგანიზაციებში წინასწარი საფუძვლიანი დამუშავების გარეშე. ეს აქციები ბევრ მნიშვნელოვანი და საჭირო ღონისძიებების უკუგებას და საწინააღმდეგო შედეგებიც კი მოჰქონდა.

გარდაქმნის კურსის პრაქტიკულ განხორციელებაში სიძნელენი და შეფერხებები უწინარეს ყოვლისა იმან გამოიწვია, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ჯეროვნად ვერ შეაფასა ბიუროკრატიული მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის მემკვიდრეობის დაძლევის სირთულენი, არადამაკმაყოფილებლად იყო ორგანიზაციულად და იდეურ-პროპაგანდისტულად უზრუნველყოფილი მიღებული გადაწყვეტილებანი, პარტიის ყველა რგოლში არ იყო ახალ პირობებში მუშაობის გამოცდილება. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებისა და წევრობის კანდიდატების, ცენტრალური კომიტეტის მდივნების ანგარიშებმა დაადასტურა, რომ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების ორგანიზაციისათვის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა არ ყმაოდა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის კომისიები სუსტად ეყრდნობოდნენ პარტიის ინტელექტუალურ პოტენციალს, პარტიულ ორგანიზაციათა შემოქმედებას.

როგორც შედეგი, გადაუწყვეტელი დარჩა სკკპ XXVII ყრილობისა და XIX საკავშირო პარტკონფერენციის მიერ დასახული ბევრი ამოცანა, რამაც გააძლიერა კრიზისული მოვლენები, გაამწვავა სიტუაცია საზოგადოებასა და პარტიაში.

XXVII ყრილობის მოთხოვნა ეკონომიკის ხელახალი სოციალური ორიენტაციის, ადამიანისაკენ მისი შემობრუნების შესახებ რეალიზებული არ არის. სერიოზული სოციალური დაძაბულობა და მოსახლეობის სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია სამომხმარებლო ბაზრის ფაქტობრივმა მოშლამ, დეფიციტის გაძლიერებამ, მანეთის გაუფასურებამ. გამწვავდა სოფლის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.

სახელმწიფო და შრომის დისციპლინის მკვეთრი შესუსტება, დამნაშავეობის და ძალადობის ზრდა, რასაც თან სდევს ადამიანთა დაღუპვა, ლტოლვილთა გაჩენა; კორუფცია, სპეკულაცია, ლოთობა და narკომანია, ზნეობრივი დაკნინება შეშფოთებას იწვევს, ართულებს პოლიტიკურ ვითარებას.

ქვეყნის აწყოსა და მომავალს საფრთხეს უქმნის მეცნიერების, განათლების, კულტურის და ჯანმრთელობის დაცვის გაჭირვებული მდგომარეობა.

ქვეყნის ბევრი რეგიონი — ჩერნობილის ზონა, არალი და არალისპირეთი, ვოლგის აუზი, სემიპალატინსკის პოლიგონი და სხვები — ვერ გამოდის ეკოლოგიური უბედურების მდგომარეობიდან. გადაწყვეტილებანი ეკოლოგიურ პრობლემებზე უკიდურესად ნელა სრულდება. იფუშება სომხეთსა და ქვეყნის სხვა რეგიონებში მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის სახელმწიფო პროგრამები.

ყრილობა აღნიშნავს: ეროვნებათშორისი ურთიერთობის გამწვავებას პარტია მოუმზადებელი შეხვდა. ცენტრალური კომიტეტი ხშირად ვერ ფლობდა ინიციატივას კონფლიქტების მოწესრიგების დროს, ურიგდებოდა სანახევრო ღონისძიებებს ცენტრში და ადგილებზე. ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება გაჭიანურდა. საფრთხე შეექმნა სსრ კავშირის მთლიანობასა და თვით არსებობას.

სკკპ XXVIII ყრილობა გმობს სეპარატისტულ ტენდენციებს, როგორც ხალხთა ინტერესების საწინააღმდეგოს. ყრილობა წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ გათიშვა მოხდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების კომპარტიებში, რის შედეგადაც მათ დაკარგეს გადამწყვეტი გავლენა პოლიტიკური ვითარების განვითარებაზე.

ყრილობა აცხადებს, რომ მხარს უჭერს იმ პარტიულ ორგანიზაციათა პოზიციებს, რომლებიც საზოგადოებრივი განვითარების სოციალისტურ არჩევანს იცავენ. იგი მოუწოდებს ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის კომუნისტებს ერთიანობისათვის სკკპ XXVIII ყრილობის საპროგრამო დოკუმენტების საფუძველზე.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას, რომელმაც გაბედული ნაბიჯი გადადგა პარტიის განახლების გზაზე, არ გამოუყენებია ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ რადიკალურად გარდაექმნა იგი სახელმწიფო პარტიიდან პოლიტიკურ ლიდერად. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა

(დასასრული მე-2 გვ.).

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი

მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი დაიბადა 1931 წლის 2 მარტს სტავროპოლის მხარის კრასნოგვარდეისკის რაიონის სოფელ პრიკონოოში, გლეხის ოჯახში. 13 წლიდან პერიოდულად მუშაობდა კოლმეურნეობაში, 15 წლიდან — მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კომბაინერის თანაშემწედ, დამთავრა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი (1955 წელი) და დაუსწრებლად — სტავროპოლის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი (1967 წელი).

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სამშობლოში, სტავროპოლის მხარეში — ჯერ იურიდიული სპეციალობით, მაგრამ მალე დაიწინაურეს კომკავშირულ სამუშაოზე.

1962 წლის მარტში აირჩიეს სტავროპოლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ-საწარმოო სამმართველოს პარტორგად, იმავე წლის დეკემბერში დაამტკიცეს სკკპ სამხარეო კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგედ. 1966 წლის სექტემბერში აირჩიეს პარტიის სტავროპოლის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად. 1968 წლის აგვისტოდან მუშაობდა სკკპ სტავროპოლის სამხარეო კომიტეტის მეორე მდივნად, ხოლო 1970 წლის აპრილში აირჩიეს სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად.

1978 წელს აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად, 1979 წელს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად, 1980 წლის ოქტომბერში გადაიყვანეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად. 1985 წლის მარტში აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

1988 წლის ოქტომბრიდან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეა, 1989 წლის მაისიდან — სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, 1990 წლის მარტში ირჩევენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის პრეზიდენტად.

1990 წლის 10 ივლისს სკკპ XXVIII ყრილობაზე კვლავ აირჩიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად.

მინიჭებული აქვს მთელი რიგი სახელმწიფო ჯილდოები.

გამოვიდა ბროშურა

გამოვიდა ბროშურა „ეკონომიკის მრავალწყობიანობის მეშვეობით — წარმოების ეფექტიანობისაკენ. სსრ კავშირის პრეზიდენტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრა მორჯარეებთან. 1990 წლის 21 მაისი“. წიგნში შევიდა მ. ს. გორბაჩოვისა და მეურნეობრიობის საიჯარო ფორმის გამოყენების საკითხებისადმი მიძღვნილი შეხვედრის სხვა მონაწილეთა გამოსვლები.

ბროშურა გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. (საკდისი).

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

პარტიის XXVIII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის განხილვის - შედეგების გამო

დისკუსია მხოლოდ ახლა ჩადგება, წინ ჯერ კიდევ ბევრი რამ გველის. იგი აქაც, ამ დარბაზშიც მიმდინარეობდა, სეკციებზეც, კომისიებშიც, რომელთა მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ ყრილობის დელეგატები. თუ ამას კამთასაც დავუმატებთ, რომელიც ეთმართა ჩვენს შეხვედრებზე დელეგატებთან — მუშებთან, გლეხებთან, პარტიული ორგანიზაციების, პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების დელეგატებთან, აგრარიკოსებთან, ყრილობამ, შეიძლება ითქვას, ბევრი რამ გამოამზეურა. ერთი მხრივ, დადასტურდა ის, რაც ვიცოდით ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. მაგრამ ყრილობამ ბევრი რამ დაუმატა განსაკუთრებით — შესაძლო შედეგების შეფასების თვალსაზრისით, თუ ესა თუ ის ტენდენცია განვითარდება ჩვენს საზოგადოებაში.

ახლა არ ვიჩქმეტ სრული შედეგების შეფასებას — ეს, ალბათ, ჯერ კიდევ უნდა მოახდინონ ყრილობის შემდეგ ახლად არჩეულმა ცენტრალურმა კომიტეტმა და მისმა ორგანოებმა, ყველა რანგის პარტიულმა კომიტეტებმა. უბრალოდ ერთბაშად ყველაფრის შეკრება ერთად ადვილი საქმე არ არის. ვილაპარაკებ ისე, როგორ ვგრძნობ, ღალვიდი, ვაფასებ ამ ეტაპზე.

მთლიანად დისკუსიამ ასახა გუნება-განწყობილება, ეკონომიკისა და სოციალური სფეროს, პოლიტიკური ცხოვრების მდგომარეობა, ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესების დაძაბულობა. აქ ბევრი რამ იყო დანაშრევი, შემთხვევითი, სიცხარეში ნათქვამი, მომტებული შეშფოთების, ის კი არა, უბრალოდ, გაბოროტების ან კამათის უუნარობის შედეგი. რა გაეწყობა, მოდით ყველამ ვისწავლოთ. ასეთია ჩვენი რეალობანი.

მინდა გამოვყო ყველაზე მთავარი, რაც აღმოჩნდა განხილვის ცენტრში, გამოიწვია ყველაზე ცხარე დავა, რის გამოც დაისვა კიდეც ყველაზე მეტი კითხვა. ვფიქრობ, სწორი იქნება, თუ საკითხს ასე დავსვამთ: რა დასკვნები შეიძლება უკვე ახლა გამოვიტანოთ დისკუსიიდან, იმიდან, რაც ჩვენს ყრილობაზე ხდება?

პირველი, რასაც ხაზი უნდა დავესვას: მცირე გამონაკლისის გარდა ფარდაქმნის, სოციალისტური არჩევნის ფარგლებში მთელი ჩვენი საზოგადოების განახლების პოლიტიკურ კურსს საკოჭმანოს არ ხდის, მხარს უჭერს ყრილობა. დელეგატთა უმრავლესობას ესმის, რომ იგი ნაკარნახევი იყო ცხოვრებით და, გარდაქმნება რა პოლიტიკად ყველა მიმართულებით, ეკონომიკიდან სულიერ სფეროამდე, უკვე მოიტანა კოლოსალური ცვლილებანი საზოგადოებაში და კვლავაც უდიდეს ზემოქმედებას ახდენს მთელ ჩვენს განვითარებაზე. ჩემი პოზიცია — ამ მხრივ თქვენ სრული სიცხადე უნდა გქონდეთ — შემდეგი: შეცდომების, ხარვეზების, დაგვიანების მიუხედავად, რაზეც აქ დელეგატებმა სწორად ილაპარაკეს და რაც მკაცრად გაკიცხეს, რადგან ეს დიდ დანაკარგებად დაუჯდა საზოგადოებასა და პარტიას, ქვეყანაში ახლანდელი ვითარების დრამატიზმის მიუხედავად, მომხდარ ცვლილებათა საერთო შედეგი მნიშვნელოვნად, პროგრესულად მიმაჩნია.

ყრილობაზე შეეჯახა აზრები იმის შესახებ, თუ რა მოგვცა გარდაქმნამ. იყო ცდები შეგვეფასებინა იგი აფთიაქის სასწორით, არითმეტიკის ოთხი მოქმედების დახმარებით. ეს სერიოზული არ არის, ამხანაგებო. ისეთ მოვლენაზე, როგორიც გარდაქმნა, საზოგადოების რევოლუციური შეცვლა, ახალი კრიტერიუმებით, ისტორიული მასშტაბის კრიტერიუმებით უნდა ვმსჯელობდეთ.

იმას, ვისაც ნამდვილად ესმის, რომ გარდაქმნა გვჭირდება, რომ ეს არის რევოლუცია და არა უბრალოდ, ასე ვთქვათ, ფასადის შელამაზება, მას ესმის, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა დაეძლიოთ. აღვიქვამ რა კრიტიკას — მთელი მისი სიმკაცრის მიუხედავად — გარდაქმნის ინიციატორთა მისამართით და საანგარიშო მოხსენების კრიტიკული შეფასების მიუხედავად, უარს არ ვამბობ არც იმაზე, რაც ნათქვამია, რადგან ყოველივე ეს მოფიქრებული და აწონ-დაწონილია.

მიღწეულის მთავარი პოზიტივი ის არის, რომ საზოგადოებამ მიიღო თავისუფლება. მან გაათავისუფლა ხალხის ენერგია, გამოსავალი მისცა დოგმებისა და ძველი სქემების მარწუხებში მოქცეულ იდეებს, შეშფოთებას ქვეყნის ბედისათვის, სოციალიზმის ბედისათვის, შესაძლებლობა მოგვცა მილიონობით ადამიანი ჩაგვება პოლიტიკაში და დაგვეწყო საარსებოდ მომწიფებული გარდაქმნები. თავისუფლება რომ არ ყოფილიყო, არ იქნებოდა არც ეს ყრილობა, არც ის ატმოსფერო, რომელიც აქ სუფევს.

მისაღები და კონსტრუქციული ვერ გამოდგა ყველაფერი, რაც სტალინიზმისა და უძრაობის დახუთულ და რეპრესიულ ატმოსფეროში დაგროვდა და ახლა ზედაპირზე ამოხეთქა. მაგრამ ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ — სწორედ ეს არის რევოლუცია, მისი თავდაპირველი ფუნქცია ყოველთვის ის ყოფილა, რომ ხალხს თავისუფლება მისცეს. და გარდაქმნამ თავისი დემოკრატიზაციით, სჯაროობით შეასრულა უკვე ეს უპირველესი ამოცანა.

სულიერი აღორძინება საზოგადოებას ეანგბადიანი სჭირდება. იგი მიმდინარეობს ჩვენ თვალწინ, და ამ პროცესის ყველა ხარვეზის მიუხედავად, მან უკვე მოახდინა ფიდიდესი ზემოქმედება. საზოგადოება სხვაგვარი გახდა, და ჩვენც სულ სხვანი გავხდით. სხვა საკითხია, რომ ვერც პარტიამ, ვერც მთლიანად ქვეყანამ, ვერც ძველმა, ვერც ახლად შექმნილმა ორგანიზაციებმა და მოძრაობებმა, ჩვენმა ახალმა ხელისუფლებამ, ყველამ ჩვენ, ამხანაგებო, ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ დაპენილი თავისუფლებით სარგებლობა.

ამიტომ უპირველესი ამოცანის არის, რომ რაც შეიძლება მალე და უკეთ ვისწავლოთ ეს.

პოლიტიკურ რეფორმაში საკმაოდ წინ წავიწიეთ, შეექმენით ხელისუფლების ახალი სტრუქტურები ზემოდან ქვემოთ ხალხის დემოკრატიული ნების გამოხატვის საფუძველზე. ისინი კვლავ იხვეწება, მაგრამ უკვე დაიწყო მოქმედება, აესებენ კონკრეტული შინაარსით ჩვენს დემოკრატიას, სამართლებრივი სახელმწიფოს ცნებას. მათ მუშაობაში — ეს ამ დღეებში არაერთხელ თქმულა — ბევრი სისუსტეა, გვაკლია გამოცდილება, გაბართული არ არის პროცედურები და მექანიზმები. ზოგჯერ არ გვყოფნის პოლიტიკური კულტურა და კომპეტენტურობა, სპეციალური ცოდნა. საბჭოების საკადრო კორპუსის ფორმირების პროცესი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მაგრამ მაინც ახალმა საბჭოებმა საქმის კეთება იწყეს, სახალხო დეპუტატებს ემატებათ პასუხისმგებლობა, მისწრაფება — რაც შეიძლება მალე მოჰკიდონ ხელი კონკრეტულ პრობლემებს, მოსახლეობის საჭიროებებს.

ის, რომ ასეთნაირად მიმდინარეობს რეალური საბჭოთა ხელისუფლების აღდგენა, სასიხარულო ფაქტია, ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია გარდაქმნისა, რომელშიც მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ კომუნისტები, პარტიული ორგანიზაციები. და მაინც, ზოგან იგრძნობა ერთგვარი მოწყვეტა, მეგიტყოდი, გულცივობა საბჭოებსა და პარტიას შორის. აქ კომუნისტები მეტად აუცილებელი უნდა იყვნენ, უწინარეს ყოვლისა, თავიანთ თავს შეეხდონ. ყოველთვის საკუთარი თავით უნდა ვიწყებდეთ. ეს გაუცხოება დაკავშირებული ხომ არ არის იმასთან, რომ ჩვენ ვერა და ვერ აგვიღია ხელი საბჭოებთან ურთიერთობის წინანდელ მეთოდებზე, რომლებიც მემკვიდრეობით მივიღეთ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემისგან? ასეთ

(გაგრძელება მე-2 გვ.).

სკკპ XXVIII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშისა და პარტიის ამოცანების შესახებ

(დასასრული)

და პარტიულმა კომიტეტებმა ვერ შეძლეს გარდაექმნათ თავიანთი მუშაობა, გამოუყენებინათ პარტიულ ორგანიზაციათა შემოქმედებითი პოტენციალი.

სკკპ XXVIII ყრილობას მიაჩნია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს და ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს საქმიანობას ძირეული სრულყოფა, ხოლო საკადრო პოლიტიკას გაანალიზება სჭირდება. ცენტრალურმა კომიტეტმა, მისმა პოლიტბიუროს თავიანთ სქმიანობაში ძირითადი ყურადღება უნდა დაუთმონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთიანობის უზრუნველყოფისა და პარტიაში დემოკრატიის განვითარების, საზოგადოების კონსოლიდაციის, ქვეყანაში პოლიტიკური საშუალებებით სამოქალაქო მშვიდობის უზრუნველყოფის ძირითად საკითხებს, კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანისათვის გადაუდებელ ღონისძიებათა შემუშავებასა და პრაქტიკულ განხორციელებას. საჭიროა ქალთა შორის, ახალგაზრდობაში, ვეტერანთა შორის მუშაობისადმი პრინციპულად ახალი მიდგომები, საზოგადოებაში მათი მდგომარეობის სპეციფიკის გათვალისწინება, მოსახლეობის ამ ჯგუფების სრულფასოვანი ჩაბმა პარტიულ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ სტრუქტურებში.

ყრილობა ავალებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ახალ შემადგენლობას სამ თვეში შეიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებანი ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, აგრეთვე დელეგატების მიერ გამოთქმული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების განსახორციელებლად.

ქვეყანაში შექმნილი რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით რეკომენდაცია მიეცეს განიხილოს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის სხდომებზე მომდინარე მომენტი, პოლიტბიუროს და სამდივნოს ანგარიშები. დაევალოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს წლის განმავლობაში განიხილოს პარტიაში იდეოლოგიური მუშაობის განახლების საკითხი. მიზანშეწონილად მიიჩნიოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის, მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინსტიტუტის რეორგანიზაცია პარტიის ახალი ამოცანების შესაბამისად.

პარტია უნდა ახორციელებდეს ძლიერ და ხალხისთვის გასაგებ სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას. პარტიას სჭირდება სიტუაციის საკუთარი ანალიზი, თავისი დამოუკიდებელი შეფასებანი, რათა საზოგადოების, სახელმწიფო ორგანოს შესთავაზოს კრიზისიდან გამოსვლის გზები, ვითარების სტაბილიზაციის, ყოველდღიური ცხოვრების პრობლემების გადაჭრის გზები.

ნებისმიერი აქტები, რომელთა მიზანია პარტიული ორგანიზაციების მოშორება ხრმიდთი კოლექტივებიდან, და სხვა ლიკვიდატორული გამოვლინებანი, ყრილობას დემოკრატიისა და კანონიერების დარღვევად მიაჩნია.

ყრილობა აცხადებს: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოვალეობაა დაამთავროს პოლიტიკური რეფორმები, ბოლომდე მიიყვანოს მთელი ძალაუფლების სრულად გადაცემა საბჭოებისათვის. პარტიული კომიტეტები ძოვალენი არიან მოაგვარონ თანამშემდეგება ახალ საბჭოთან, ხელი შეუწყონ მათს, როგორც რეალური ძალაუფლების ორგანოების, ჩამოყალიბებას, გაუწიოს ქმედითი მხარდაჭერა არჩევნებში მუშებსა და გლეხებს. კომუნისტი დეპუტატებისა და პარტიული ორგანიზაციების კონსტრუქციული პოზიცია მოწოდებულია ხელი შეუწყოს საბჭოების უსწრაფესად გადასვლას სრულფასოვან და ნორმალურ მუშაობაზე.

ყრილობას სწორად და საჭიროდ მიაჩნია ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაში პრეზიდენტობის ინსტიტუტის შემოღება. ამავე დროს აღნიშნავს, რომ კანონმდებლურად არ არის გაფორმებული რესპუბლიკებში და ადგილებზე ხელისუფლებასთან პრეზიდენტის თანამშრომლების სტრუქტურა, არ არის განსაზღვრული პრეზიდენტის მიერ გამოცემულ ბრძანებულებათა შესრულებისადმი კონტროლის ფორმები.

ყრილობა მხარს უჭერს საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო საქმიანობას, რომელსაც XXVII ყრილობის და XIX პარტიული კონფერენციის დასკვნების შესაბამისად საფუძვლად უძევს არჩევის თავისუფლება, ინტერესების ბალანსი, თანასწორუფლებიანობა და ჩაურევლობა, ერთმანეთის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემა, შეიარაღების, უწინარესად ბირთვული იარაღის შემცირება, ურთიერთობის დემოკრატიზაცია და ჰუმანიზაცია ადამიანის უფლებათა პატივისცემის საფუძველზე.

ყრილობა აღნიშნავს, რომ ამ პრინციპებზე აგებულმა საბჭოთა კავშირის ახალმა საგარეო პოლიტიკამ ხელი შეუწყო საერთაშორისო ვითარების საგრძნობ გაჯანსაღებას, ომის საფრთხის შენელებას, გლობალური პრობლემების გადაჭრას, მსოფლიო სამეურნეო სისტემაში ეკონომიკის ინტეგრაციას, ეკოლოგიურ თანამშემდეგებას, სულიერ სფეროში თანამშრომლობას, ადამიანთა შორის ურთიერთობის გაფართოებას, დასაბამი მისცა სამხედრო ხარჯების ტვირთის შემსუბუქებას. ამის შედეგად ხელსაყრელი საგარეო პირობები იქმნება საშინაო ამოცანების გადასაწყვეტად.

საერთაშორისო სარბიელზე დადებითი ძვრები დღის წესრიგიდან არ სსნის გონივრული საკმარისობის პრინციპებზე ქვეყნის საომედო უშიშროების უზრუნველყოფის ამოცანებს. სამხედრო პოლიტიკის საკითხები, სამხედრო მოსამსახურეებსა და მათს ოჯახებზე ზრუნვა მუდამ უნდა იყოს სახელმწიფოსა და პარტიის თვალთახედვის არეში.

ყრილობა მხარს უჭერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო ურთიერთობათა გაფართოებასა და გაღრმავებას, ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა ინტერნაციონალურ კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან, სხვა მემარცხენე ძალებთან. პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივ მოძრაობათა ფართო სპექტრის ინტერესების დამთხვევის სფეროების ძიებას.

პარტიის რადიკალური განახლება მისი პროგრამის რადიკალურ განახლებას მოითხოვს. ყრილობას საჭიროდ მიაჩნია შეიქმნას პარტიის ახალი პროგრამის მოსამზადებელი კომისია და გამოტანილი იყოს მისი პროექტი პირველად პარტიული ორგანიზაციების განსახილველად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საზოგადოებასა და სახელმწიფოს სთავაზობს მომდევნო პერიოდში მოქმედების პროგრამას. იგი ჩამოყალიბებულია ყრილობის საპროგრამო განცხადებაში „ჰუმანური, დემოკრატიული სოციალიზმისაკენ", რეზოლუციებში ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრობლემათა გამო.

პარტიული ყრილობა ყველა კომუნისტის, რომელსაც სკკპ ხელმძღვანელ ორგანოებში მუშაობას მიანდობენ, უურადღებას მიაპყრობს იმას, რომ დაუშვებელია განმეორდეს წარსულის შეცდომები, რომლებმაც პარტია და ხალხი ადამიანებამდე, ქვეყანა — უძრაობამდე და ერთხელისუფლებიანობამდე, ხოლო სოციალიზმი — დეფორმაციებამდე მიიყვანა.

• • •

ქვეყანას ძნელი ხანა დუდგა. ახლა განსაკუთრებით საჭიროა მთელი დემოკრატიული ძალების კონსოლიდაცია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია სოციალისტური იდეის ყველა მომხრეს სთავაზობს შეკავშირდნენ ფართო კოალიციად საბჭოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოძრაობებში, ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში. იგი მზად არის აწარმოოს თანასწორუფლებიანი დიალოგი, ამასთან დაიკვას ყოველივე კონსტრუქციული მშრომელი ადამიანის, სამოქალაქო მშვიდობისა და საერთო-ეროვნული თანხმობის საკეთილდღეოდ.

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

(მაგრძელება)

პრეტენზიებზე ხელისუფლების ახალი ორგანოები თავის მხრივ მტკივნეულად რეაგირებენ.

მოხსენებაში ვთქვი, და ერთხელ კიდევ მინდა გავიმეორო, რომ კანონიერების განმტკიცება, წესრიგის დამყარება, მექანიზმის შექმნა, რომლის მეშვეობით დადგენილებანი და გადაწყვეტილებანი ხორცს შეისხამენ, ახლა პირდაპირ არის დაკავშირებული იმასთან, რომ ყველა დონის საბჭოებმა რაც შეიძლება მალე შეიძინონ სრული ძალაუფლება და უფლებები. პარტიის, პარტიული ორგანიზაციებისა და კომიტეტების, საბჭოებსა და საწარმოო კოლექტივებში მომუშავე კომუნისტების წმიდათაწმიდა ვალია ხელი შეუწყონ ამას. მაგრამ ამავე დროს მოვუწოდებდი საბჭოების დეპუტატებსაც, იმოქმედონ კონსტრუქციულად, კონსტიტუციისა და კანონის ფარგლებში. მივმართავ მათ უწინარეს ყოვლისა, როგორც პრეზიდენტი. დეპუტატთა ნაწილის მხრიდან, პირდაპირ ვიტყვით, იკვეთება კონფრონტაციული პოზიცია, ეს კარგს არაფერს გვიქადის. ცუდია, თუ კომუნისტებს არ ესმით, რა არის დღეს განახლებული საბჭოები, რომ თვითონ მათ უნდა შეჰქონდეთ თავიანთი წვლილი სიტუაციის ნორმალიზაციაში ხალხის საკეთილდღეოდ. ცუდია, თუ საბჭოებსაც არ ესმით პარტიულ ორგანიზაციებთან ურთიერთმოქმედების საჭიროება.

ვეზები რა დისკუსიის მეორე გაკვეთილი, მინდა გავიზიარო იმ დელეგატთა შეფასებები, რომლებიც, მხარს უჭერენ რა გარდაქმნის გეზს, ბევრი მწვავე კრიტიკული შენიშვნა გამოთქვეს იმის გამო, რომ ეს გეზი ყოველთვის თანამიმდევრულად არ ხორციელდებოდა. ბევრი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და კანონი, რომლებსაც უნდა წარემართათ საზოგადოებრივი პროცესები და დაესწორა ნეგატიური მოვლენების წარმოქმნისათვის, შეუსრულებელი დარჩა. ყოველივე ეს უნდა გავიაზროთ და სამომავლოდ გამოვიტანოთ დასკვნები.

ისე გამოვიდა, რომ ჩვენ ვცდილობდით სწრაფად გამოვხმაურებოდით ცხოვრების მოთხოვნებს, შეგვემუშავებინა გადაუდებელი კანონები და გადაწყვეტილებანი, და ნაკლებ ყურადღებას ვუთმობდით მათს შესრულებას, არსებითად, ჩვენთან ნამდვილი მექანიზმი არც კი იყო შექმნილი. აქედან ცუდი გაჩდა, რომ საჭიროა პრეზიდენტის ხელისუფლება, საჭიროა უფრო სწრაფად განვახორციელოთ პოლიტიკური რეფორმა. შევქმნათ ახალი საბჭოები, რადგან უმთავრად, ყველა ეს კანონი თითქოსდა ჰაერში გამოკიდებული რჩება.

ეს მნიშვნელოვანწილად ცენტრის სინდისზე უნდა იყოს. მაგრამ მინდა შევეხო რესპუბლიკურ და ადგილობრივ ხელისუფლებას. ეს ერი წავიწევთ, ვერ განვამტკიცებთ პარტიის პოზიციებს, ეფექტიან პოლიტიკას ვერ შევთავაზებთ საზოგადოებას და ამით ახალ დიდ ნამიკას ვერ მივანიჭებთ გარდაქმნას, თუ არ შევიგებთ, რომ ყველაფერი, რაც წარსულში იყო, მნიშვნელოვანწილად მოძველდა და მიუღებელია. ყრილობის ატმოსფეროშიც, მრავალ გამოსვლაშიც, ზოგიერთი დელეგატის დისკუსიის წარმართვის მანერაშიც გავიგონე, როგორც იტყვიან, კანით ვიგრძენი, რომ ყველამ როდი შეიგნო: პარტია უკვე სხვა საზოგადოებაში ცხოვრობს და მუშაობს, და საჭიროა სხვა, განახლებული პარტია, საქმიანობის სხვა სტილი. ჩვენ არ ვცვლით ჩვენს გეზს, ჩვენს არჩევანს, სოციალისტურ ღირებულებათა ერთგულნი ვართ. მაგრამ, მეორეს მხრივ, პარტიის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რომ მან შეიგნო — ეს უკვე სხვა საზოგადოებაა. სხვაგვარად მას შეავიწროებენ სხვა ძალები, თანდათანობით დაკარგავთ პოზიციებს. ახლა კი უდიდესი შესაძლებლობანი გვაქვს, და მთელი საქმე ის არის, რომ შევიგნოთ მთავარი— განახლების, დემოკრატიზაციის, ხალხთან ცოცხალი კავშირის განმტკიცების, მასებში აქტიური მუშაობის გარეშე ჩვენ მნიშვნელოვნად ვერ წავიწევთ წინ.

ამ დღეებში ბევრი პირადი საუბარი მქონდა ამბანაგებთან, და უნდა ვთქვა, რომ მეტი გაგება ის სიტუაციის არაორდინარულობისა და სიახლისა, რომელშიც პარტია იმყოფება, მე ვიგრძენი, როგორც იტყვიან, რიგითი ამხანაგებისა — მუშების, გლეხების, ინტელიგენტების, პირველადი პარტორგანიზაციების მდგომარეობის მხრივ. თუმცა ეს, საერთოდ თუ ვიტყვით, ძველი, „იმდროინდელი" გამოთქმაა, ალბათ, ტყუილად ვიხმარე იგი.

აქ გამოვიდა დონეცკელი ამხანაგი გიორორნსკი, მან მართებულად შეგვახსენა, რომ უმთავრესია პარტიამ უფრო სწრაფად გაძლიერეს ყველაზე ფართო და ღრმა კავშირი მუშათა კლასთან. ეს გვიჩვენა მუშა-დელეგატებთან და მოწვეულებთან შეხვედრამაც. პარტიულ კომიტეტებს, მათ შორის ცენტრალურ კომიტეტს, ბრალი მიუძღვით იმაში, რომ დიდი პოლიტიკური კამპანიების დროს ღირსეულად ვერ დაიცვეს მუშათა კლასის ინტერესები, დიდხანს ფიქრობდნენ თავიანთ პოზიციაზე მუშათა მოძრაობის ახალი ფორმების მიმართ. ამითაც ბევრი რამ დაკარგეთ, მუშათა კლასი პირდაპირ სვამს საკითხს ჩვენ წინაშე.

გამართული დისკუსიიდან შემდეგი გაკვეთილი ის არის, თუ როგორ ვიმოქმედოთ კვლავაც გარდაქმნის მთავარი მიმართულებებით. პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობა დაუნაწილებლად ეკარიტკეს ეკონომიკური სიტუაციისათვის, ბაზრის; საქონლით მოსახლეობის უზრუნველყოფის მდგომარეობისათვის.

აქ მთავარი ამოცანებია სასურსათო საკითხის გადაწყვეტა — მე მას პირველ პლანზე ვაყენებ, თუ ეს სიმწვავე დაეძლიეთ, 70-80 პროცენტით მოიხსნება სოციალურ სფეროში მდგომარეობის სიმწვავე, — რეგულირებადს ბაზარზე გადასვლა და საბინაო საკითხი.

ამასთან დაკავშირებით, არ დაგიმალავთ, შეშფოთია, როცა ყრილობამ ხმის სამი მეოთხედით გადაწყვიტა შეუცვალოს სახელწოდება ეკონომიკური რეფორმის კომისიას და ამოიღოს სიტყვა „ბაზარი". მაშასადამე, კვლავ ვერ გადაუგიათ საზოგადოებისათვის შეთავაზებული სახალხო მეურნეობაში სიტუაციის რადიკალური ცვლილებისაკენ მკვეთრი შემობრუნება.

ნუთუ მთელმა ჩვენმა ისტორიამ არ გვიჩვენა, ამხანაგებო, იმ გაჭირვებიდან თავის დაღწევის ცდების უნაყოფობა, რომელშიც იყვნენ სახელმწიფოც და მოქალაქეებიც, მბრძანებლურ-განმკარგულებელი სისტემის ამოკვმესვისა და ჯანსაღი ბზით? ჩვენ უკვე მოგვეცადა კოლოსალური დანაკარგები, როცა ჯიუტად ვებღაუჭებოდით ძას ათწლეულების მანძილზე, ის კი არა და, ახლაც ვებღაუჭებით და ამრიგად ვაფერხებთ განახლებას და ქვეყანაში ეკონომიკური ცხოვრების ახალი ფორმების დამკვიდრებას. ხოლო თუ კვლავაც ასე ვიქნით, პირდაპირ ვიტყვით, ქვეყანას გაკოტრებამდე მივიყვანთ. მე ჩემს თვალსაზრისს ნათლად გამოვთქვამ.

სამაზრო მეურნეობის უპირატესობანი დამტკიცებულია მსოფლიო მასშტაბით. საკითხი ახლა მხოლოდ ის არის, შეიძლება თუ არა ბაზრის პირობებში უზრუნველყოთ დიდი სოციალური დაცულობა, ის, რაც დამახასიათებელია ჩვენი სოციალისტური წყობილებისათვის, მშრომელთა წყობილებისათვის. პასუხი ასეთია: არათუ შეიძლება, სწორედ რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკა მოგვცემს საშუალებას ისე გავზარდოთ საზოგადოებრივი სიმდიდრე, რომ შედეგად ამაღლდეს ყველას ცხოვრების დონე. და, რა თქმა უნდა, ჩვენს ხელთაა სახელმწიფო ძალაუფლება, რომელსაც შეუძლია ჰქონდეს ასეთი კანონები, მიიღოს ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებიც „ნაპირებს შეუქმნის" საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის პროცესს.

რა თქმა უნდა, სანამ ბაზრის უპირატესობანი სრულად გამოვლინდებოდეს, უნდა გიიაროს მისი ჩამოყალიბების პერიოდმა. ყველაზე რთული ამოცანა ამ პერიოდში ის არის, რომ შევიმუშაოთ და განვახორციელოთ სოციალური დაცულობის, განსაკუთრებით ხელმოკლე მოქალაქეთა სოციალური დაცულობის სპეციალურ ღონისძიებათა კომპლექსი. მოხსენებაში უკვე ითქვა — იქან, თუ როგორ გამოცხადდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის განზრახვა, დაიშინა ხალხი. ბაზარი მას გამოეცხადა არა მაღაზიათა სავსე დახლების, არამედ მაღალი ფასების სახით. მე ვამბობდი, რომ ფასებით დაწყება ის გზა არ არის. მაგრამ, როცა რეფორმას ვიწყებთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ფასწარმოქმნის რეფორმის გარეშე შეუძლებელია ბაზარზე გადასვლა. ერთი სიტყვით, საერთოდ, ჩვენ უნდა გამოვსწოროთ ეს შთაბეჭდილება და, რაც მთავარია, სექტემბრისათვის უზრუნველს საბჭოსაც, საზოგადოებასაც შევთავაზოთ აწონ-დაწონილი წინადადებანი, რათა ისინი გაერკვნენ და გააკეთონ არჩევანი.

მე უკვე მქონდა შესაძლებლობა ვრცლად მეპასუხა აგრარული პოლიტიკის საკითხებზე, რომლებიც აქ მწვავედ აღიძრა, და ვგრძნობ, მთელი დარბაზის მხარდაჭერას იმსახურებდა. ჩვენ, საერთოდ, შორს წავედით აგრარულ მუშაკებთან შეხვედრაზე იმ თვალსაზრისით, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ აგრარული პოლიტიკის სფეროში, და უკვე ვახორციელებთ კონკრეტულ ღონისძიებებს. გუშინ ნ. ი. რიჟკოვმა ხელი მოაწერა გადაწყვეტილებას სოფლისათვის ვალების ჩამოწერის შესახებ. (ტაში).

მე გამოვთქვი ჩემი დამოკიდებულება: აქ, ყრილობაზე, ჩვენ უნდა დავიკავოთ პოლიტიკური პოზიცია გლეხობის, სოფლის მიმართ, და არა მარტოოდენ სასურსათო საკითხში. იგი მხოლოდ პრობლემის ნაწილია. თუ სოფელი თავს ღონივრად იგრძნობს, რწმენით აღსავსე და კარგად იცხოვრებს ჩვენი გლეხობა, მიიღებს ინიციატივიანი მუშაობის შესაძლებლობას — მაშასადამე, უფრო სწრაფადაც გადაწყდება სასურსათო საკითხი. (ტაში).

აგრარულ საკითხში მაინც ვიგრძენი, რომ ბოლომდე არ ვეთმით იგი. სოფლის აღმავლობისადმი ორი ძირითადი მიდგომის დაპირისპირებაც კი არის. მხედველობაში მაქვს, ერთი მხრივ, საწარმოო ურთიერთობის გარდაქმნა საკუთრების, მიწის, იჯარის შესახებ კანონების საფუძველზე და, მეორე მხრივ, სოფლისათვის დახმარების გაწევა სოფლის სოციალურ მოწყობაში, გზების გაყვანაში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და სხვა წარმოებაში. არიან ადამიანები, რომლებიც, როგორც ჩანს, შეგნებულად პროვოკაციულად იწვევენ ნეგატიურ დამოკიდებულებას მარტის პლენუმზე შემუშავებული პარტიის სოლიტიკისადმი, ყოველწლიურად ცდილობენ შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს ხელმძღვანელობას არ სურდეს სოფლისათვის დახმარების გაწევა. უფრო მეტიც, დარბაზიდან გავიგონე: „ჩავუყენოთ გორბაჩოვი სათავეში აგრარულ კომისიას, რადგან მას არ უყვარს სოფლის მეურნეობა". ნახეს კაცი, რომელსაც არ ყვარებია სოფლის მეურნეობა!

თქვენ იცით, უხეში გამოთქმები არ მიყვარს, მაგრამ ამ შეთხზევაში იძულებული ვარ ვთქვა, რომ ამგვარი რამ ან მოუსაზრებლობიდან გამომდინარობს, ან საძრახისი ვარაუდებით არის ნაკარნახევი. ამ ტრიბუნიდან კიდევ ერთხელ ვიმეორებ ყრილობისათვის, პარტიისათვის, მთელი ქვეყნისათვის: ჩვენი პოზიცია ის არის, რომ, ჯერ ერთი, მიგანიჭოთ სრული თავისუფლება სოფლად ყველა სახეობის მეურნეობრობისა არჩევის სრული ნებაყოფლობის საფუძველზე. მეორე, დავაწესოთ გონივრული გაცვლა ქალაქსა და სოფელს, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, რაც ხელს შეუწყობდა სოფლის აღმავლობას უმოკლეს ისტორიულ ვადებში. მესამე, სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი სოფლის საარსებო პრობლემების გადაწყვეტას, უწინარესად ჩვენი გლეხობის ცხოვრების ღირსეული პირობების შექმნას. სწორედ ამ სამ საფუძველზე შეგვიძლია ავაღორძინოთ სოფელი და უზრუნველვყოთ ქვეყანა სურსათით. და ამ ტრიადას ვერ გამოვაკლებთ ვერც ერთს, რადგან დაინგრევა მთელი სისტემა. (ტაში).

ჩვენ უნდა მივიღოთ დიდი გადაწყვეტილებანი, რომლებიც შეეხება აგრარულ სექტორს, საერთოდ სოფელს, გლეხობის მდგომარეობას — აი, ასე ვთქვათ, ჩემი დასკვნა დისკუსიის გამო, რომელიც აქ გაიმართა ამ დღეებში.

კიდევ ორი თემა გაისმა აქ მწვავედ, ადვილი არ იყო ყოველივე ამის მოსმენა, რამდენადაც ადამიანების ცხოვრებას ეხება და უკვე მძიმე შედეგები მოჰყვა. ეს, ჯერ ერთი, არის ეკოლოგიური თემა — დღეს ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა, და ჩვენ ვერ გადავდებთ მის გადაწყვეტას. ჩვენ გვიან გაგვახსენდა, მაგრამ, ამხანაგებო, ბევრი რამ შეგვიძლია გამოვასწოროთ. ამას მოწმობს საზღვარკარეთის გამოცდილება. დაახლოებით სამი ათეული წლის წინათ შეერთებულ შტატებში აგრეთვე ათობით ქალაქი ეკოლოგიური უბედურების ზონაში იყო, მოკვდა მდინარეები, სიკვდილის ზღვარზე იყო დიდი ტბები, მაგრამ მსხვილმა დაბანდებებმა და საეკიალური პროგრამების განხორციელებამ მკვეთრად გააუმჯობესა სიტუაცია. ოგივე კეთდება ევროპაშიც, რომელიც სავსეა მრეწველობითა და ქიმიური საწარმოებით. ამიტომ, რა მძიმე მდგომარეობაშიც უნდა ვიყოთ ახლა, დიდი სახსრები უნდა გავიღოთ ბუნებადაცვითს სფეროში, განვიხილოთ იგი ისეთი საარსებო მნიშვნელობის ამოცანებთან ამსოლუტურად თანასწორ საფუძველზე, როგორიც არის ადამიანთა უზრუნველყოფა სურსათითა და ბინით. სუფთა ჰაერი და წყალი ხომ ადამიანს არანაკლებ სჭირდება, ვიდრე პური, ამხანაგებო, და, რა თქმა უნდა, ვფიქრობ დაგვჭირდება საახელმწიფო პროგრამები მთლიანად ეკოლოგიაში და დიდ ეკოლოგიურ პრობლემებზე.

ყველა ჩვენგანისთვის მტკივნეულია ჩერნობილის ავარიის შედეგები. ვთხოვთ ბელორუს, უკრაინელ, ბრიანსკელ ამხანაგებს გაგვიგონ, რომ თათან ერთად გახვიცდით მათს უბედურებას.

წავაწყდით სიტუაციას, რომელიც სულ ახალ-ახალ პრობლემებს გვიქმნის. და ეს, სხვათა შორის, დიდი ფიქრის საბაბია. ერთი რეაქტორი, და ნახეთ, რა შედეგები მოჰყვა! რა იქნება, ერთბამად რომ გაჩაღდეს ბირთვული ომი? თუნდაც არაბირთვული,

თანამედროვე ეტაპზე პარტიის სამხედრო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მშვიდობის განმტკიცება საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად მიაჩნია და ყოველი ღონისძიებით შეუწყობს ხელს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესებს. ახალ პოლიტიკურ აზროვნებაზე დამყარებული პარტიის სამხედრო პოლიტიკა შეესაბამება სსრ კავშირის ხანგრძლივ ინტერესებს.

ყრილობა, ყოველმხრივ აფასებს რა სამხედრო-პოლიტიკური ვითარების მდგომარეობასა და ვითარების პერსპექტივებს, აცხადებს, რომ, სანამ არ შექმნილა პოზიტიური ცვლილებების შეუქცევადობის გარანტიები, სსრ კავშირისათვის ომის საფრთხე შენარჩუნებულია. ამ პირობებში სოციალისტური სახელმწიფოს დაცვის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და უშიშროების საიმედო, გონივრული საკმარისობის დონეზე განმტკიცებისა და შენარჩუნებისათვის კონსტიტუციურ მოვალეობათა შესრულება იყო და არის მთელი ხალხის, პარტიისა და სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია იღვწის საბჭოთა თავდაცვითი სამხედრო დოქტრინის განხორციელებისა და თანამიმდევრული განვითარებისათვის და ადასტურებს, რომ მზად არის ხელი შეუწყოს საერთაშორისო უშიშროების ყოვლისმომცველი სისტემის ფორმირებას, ამ მიზნით სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის გაფართოებას, უომი და უძალადო მსოფლიოსაკენ წინსვლას.

პარტიას საჭიროდ მიაჩნია, რომ თავდაცვითი ამოცანების გადაწყვეტა უზრუნველყოფდეს ომის თავიდან აცილებას, სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობას, სამშვიდო სუვერენიტეტის ხელყოფის აღკვეთას, ხოლო გარეგან აგრესიის შემთხვევაში — შის გარანტირებულ მოგერიებას, სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, სამართლიანი მშვიდობის აღდგენას.

2. სკკპ ყრილობა აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალები ღირსეულად ასრულებენ თავიანთ კონსტიტუციურ მოვალეობას სოციალისტური სახელმწიფოს დასაცავად. აშინაა და ფლოტს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარებს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებს კომუნისტები, პირადი შემადგენლობა თავიანთი ხალხის, მისი სოციალისტური არჩევნის ერთგულნი არიან.

ჯარებსა და ფლოტში დაგროვდა მრავალი მწვავე პრობლემა, მათ შორის პრობლემები, რომლებიც უკავშირდება მათთვის არადამახასიათებელი ფუნქციების შესრულებას, პირადი შემადგენლობის დაკომპლექტებას, მის პროფესიულ ჭომზადებას, მიწოდებული ახალ სახეობათა ტექნიკისა და შეიარაღების ხარისხსა და რაოდენობას, დისციპლინას, ორგანიზაციულ-საშტატო სტრუქტურის არასრულყოფილებას, სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახების სუსტ სოციალურ დაცულობას. ეს ქმნის ნეგატიურ განწყობილებებს, დაძაბულობას, იწვევს სამსახურით დაუკმაყოფილებლობის გრძნობას.

სკბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხაზგასმით აღნიშნავს მხედრული შრომის განსაკუთრებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობას, მის საპატიო ხასიათს. ყრილობა ავალებს პარტიულ ორგანიზაციებს, ყველა კომუნისტს ყოველნაირად შეუწყონ ხელი საბჭოთა შეიარაღებული ძალების ავტორიტეტის განმტკიცებას, მხედრულ სამსახურის პრესტიჟის ამაღლებას, სამხედრო მოსამსახურეთა პატივის, ღირსების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას.

ყრილობა აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მხარს უჭერს ერთიანი საკავშირო კანონმდებლობის საფუძველზე თავდაცვის, უშიშროების და სამხედრო მშენებლობის საკითხებისადმი ცენტრალიზებულ ხელმძღვანელობას.

სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს საფუძვლად უნდა ედოს პრინციპები, როგორიც არის ერთმმართველობა, ექსტერიტორიულობა, ისეთი შერეული პრინციპით დაკომპლექტებული მრავალეროვანი კადრის არმია, რომელიც საყოველთაო სამხედრო ვალდებულებას უხამებს კონტრაქტით სამხედრო სამსახურში ნებაყოფლობითს მიღებას, სოციალური სამართლიანობა და ყველა სამხედრო მოსამსახურისა და სამხედრო ვალდებულების თანასწორობა კანონის წინაშე, უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ სსრ კავშირის კონსტიტუციაში დამკვიდრებული მათი პირდაპირი დანიშნულებით.

საჭიროა შევიმუშაოთ და თვისებრივად ახალ დონეზე დავაყენოთ სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში ახალგაზრდობის მომზადებასა და სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახურის გავლაზე პარტიული გავლენის ფორმები და მეთოდები, გავაუმჯობესოთ მუშაობა სსრ კავშირის მოქალაქეთა პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდისათვის, სამშობლოს უშიშროების უზრუნველყოფის წმიდათაწმიდა მოვალეობის შესასრულებლად მზადყოფნისათვის. გავზარდოთ ამაში ადგილობრივი პარტიული ორგანოების როლი.

3. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ საბჭოთა საზოგადოების რევოლუციური განახლება და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში ძიმდინარე პროცესები მოითხოვს სსრ კავშირის კანონების საფუძველზე სამხედრო რეფორმის ეტაპობრივ განხორციელებას.

რეფორმა მოწოდებულია უზრუნველყოს თავდაცვითი პოტენციალის მეცნიერულად დასაბუთებული დონე გონივრული საკმარისობის პრინციპის შესაბამისად; პერსპექტიული სამხედრო-ტექნიკური პოლიტიკისა და მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის უახლეს მიღწევათა საფუძველზე მაღალი ხარისხობრივი პარამეტრების თანაბრადვე იარაღთა და სამხედრო ტექნიკით არმიისა და ფლოტის აღჭურვის შემუშავება; სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მართვის ორგანიზაციულ-საშტატო სტრუქტურისა და ორგანოების ოპტიმიზაცია; საკადრო პოლიტიკის გარდაქმნა, სამხედრო-სამსახურებრივი ურთიერთობის დემოკრატიზაცია, პირადი შემადგენლობის დაკომპლექტების სისტემის შეცვლა და შომზადება, მისი პროფესიონალიზმის დახვეწა და რეზერვების სწავლების გაუმჯობესება; სსრ კავშირის მოქალაქეების მიერ ნამდვილი სამხედრო სამსახურის გავლის საკანონმდებლო საფუძვლების განმტკიცება.

ყრილობას საჭიროდ მიაჩნია დაჩქარდეს თავდაცვის შესახებ და თავდაცვითი საწარმოების. კონვერსიის შესახებ კანონების ძიმდინარე საგარეო ფაქტორების მიხედვით მათი სამეცნიერო, საცდელი და საწარმოო ბაზის განვითარების გათვალისწინებით, აგრეთვე სამხედრო მოსამსახურეების, ოჯახების წევრების, თადარიგში დათხოვნილი ან გადამდგარი პირების სოციალური უზრუნველყოფისა და სამართლებრივი დაცვის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის მიღება. აღნიშნულ მიზნებს უნდა მოვახმაროთ უწინარეს ყოვლისა შეიარაღებული ძალების და თავდაცვის ხარჯების შემცირებასთან დაკავშირებთან გამოთავისუფლებული ძალებისა და სახსრების ნაწილი.

პირველი რიგის ამოცანებად ყრილობას მიაჩნია სამხედრო კადრების მატერიალური და სოციალური მდგომარეობის განმტკიცება, ეთიმოშ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVIII ყრილობა

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

(დასასრული)

კონტექსტით შეეხება მთელი ჩვენი მუშაობისათვის, დარბაზში მაშინვე იგრძნობოდა ეპათია, იწყებოდა ტაში-ტში. როგორ შევეჩვიეთ უბრალო და ცხად ფორმულებს: „ყოფნა-არყოფნა“, „ძირს! — გაუმარჯოს!“ **(ტაში).** მოდით თავიდან, ჩვენ ხომ პარტია ვართ, რომელსაც საზოგადოების ავანგარდის პრეტენზია აქვს.

და კიდევ ერთი გაკვეთილი დისკუსიიდან. XXVIII ყრილობაზე დელეგატებმა თან მოიტანეს მთელი წუხილი საზოგადოებაში არასტაბილურობის გამო. მუშებთან შეხვედრაზე ერთმა მუშამ ვერ მოითმინა: „მიხეილ სერგის ძევ, ნიკოლოზ ივანეს ძევ, მიპასუხეთ ორ კითხვაზე — როდის იქნება ქვეყანაში წესრიგი და როდის გადაშენდებიან სპეკულანტები?“. **(ტაში).** თითქოსდა მარტივი კითხვებია, მარტივ პასუხსაც მოითხოვს, მაგრამ იგი უბრალოდ არა გვაქვს. მე ასე ვიტყვი: რაც უფრო სწრაფად მოვამარაგებთ უხვად ბაზარს, რაც უფრო სწრაფად და ეფექტიანად ამოქმედდება ეკონომიკა, მით უფრო სწრაფად დავამარცხებთ სპეკულანტებს, ფარულ ეკონომიკას.

პარტიის რაიონული კომიტეტის ერთ-ერთმა მდივანმა თქვა: „შეგიძლიათ ის გააკეთოთო, რასაც ახლა ბოლო ტაში-ტში. როგორ შევეჩვიეთ უბრალო და ცხად ფორმულებს: „ყოფნა-არყოფნა“, „ძირს! — გაუმარჯოს!“ **(ტაში).** მოდით ვიფიქროთ, ჩვენ ხომ პარტია ვართ, რომელსაც საზოგადოების ავანგარდის პრეტენზია აქვს.

და კიდევ ერთი გაკვეთილი დისკუსიიდან. XXVIII ყრილობაზე დელეგატებმა თან მოიტანეს მთელი წუხილი საზოგადოებაში არასტაბილურობის გამო. მუშებთან შეხვედრაზე ერთმა მუშამ ვერ მოითმინა: „მიხეილ სერგის ძევ, ნიკოლოზ ივანეს ძევ, მიპასუხეთ ორ კითხვაზე — როდის იქნება ქვეყანაში წესრიგი და როდის გადაშენდებიან სპეკულანტები?“. **(ტაში).** თითქოსდა მარტივი კითხვებია, მარტივ პასუხსაც მოითხოვს, მაგრამ იგი უბრალოდ არა გვაქვს. მე ასე ვიტყვი: რაც უფრო სწრაფად მოვამარაგებთ უხვად ბაზარს, რაც უფრო სწრაფად და ეფექტიანად ამოქმედდება ეკონომიკა, მით უფრო სწრაფად დავამარცხებთ სპეკულანტებს, ფარულ ეკონომიკას.

პარტიის რაიონული კომიტეტის ერთ-ერთმა მდივანმა თქვა: „შეგიძლიათ ის გააკეთოთო, რასაც ახლა ბოლო ტაში-ტში. როგორ შევეჩვიეთ ... [illegible]

[illegible]

თანამიმდევრულად და მტკიცედ განვაგრძოთ გარდაქმნა

9 ივლისს საღამოს სხდომის დასასრულს დელეგატებმა აირჩიეს პრეზილეგიათა კომისიის თავმჯდომარედ გაერთიანება „როსტოვსოფლმანქანის“ გენერალური დირექტორი ი. ა. პესკოვი, რომელიც შეიტანს წინადადებას მისი შემადგენლობის შესახებ.

ყრილობის იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომ გაერკვნენ ზოგიერთ დელეგატთან ა. ნ. იაკოვლევის შეხვედრის შესახებ მასალების გავრცელების საკითხს, სამდივნომ წამოაყენა წინადადება შეიქმნას კომისია ბელორუსის კომპარტიის ვიტებსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ვ. გრიგორიევის მეთაურობით. წინადადება დაამტკიცეს.

ერთ-ერთი ბარათის ავტორმა, რომელიც თავმჯდომარემ წაიკითხა, განაცხადა, რომ ფორუმის მუშაობის ყოველი დღე ასი ათასობით მანეთი ჯდება და ამასთან დაკავშირებით დამსწრეთ მოუწოდა მუშაობა გახადონ უფრო ორგანიზებული და ოპერატიული. დელეგატები ამას დაეთანხმნენ.

გამოაქვეყნეს სსრ კავშირის სატელეერადიოს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 9 ივლისიდან ტელევიზიით მოეწყობა სხდომათა სრული ტრანსლაცია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად კვლავ აირჩიეს მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი. ეს პარტიის XXVIII ყრილობის მუშაობის მერვე დღის მთავარი სიახლეა. კენჭისყრის შედეგები სამშაბათს საღამოს გამოაცხადეს.

დილით კი, ჩვეულებისამებრ, ამ დღეს დელეგატები კრემლის ყრილობათა სასახლეში შეიკრიბნენ, რათა განაგრძონ მუშაობა ყრილობის დოკუმენტებზე.

XXVIII ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის განხილვის შედეგები 10 იულის დილის სხდომაზე შეაჯამა **მ. ს. გორბაჩოვმა.** (მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა იბეჭდება).

თავმჯდომარემ **ხ. ი. გურენკომ** შემდეგ სიტყვა მისცა ყრილობის სარედაქციო კომისიის თავმჯდომარეს **ვ. ა. ივაშკოს,** რომელმაც გააკეთა ინფორმაცია ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის შესახებ რეზოლუციაზე მუშაობის თაობაზე. მან აღნიშნა, რომ კომისიაში შემოვიდა 1500-ზე მეტი შენიშვნა და წინადადება. რა გვიჩვენა მათმა ანალიზმა? უწინარეს ყოვლისა მათი თითქმის ნახევარი ეხებოდა საკითხებს, რომელთა გამოც ყრილობა მიიღებს ცალკეულ დოკუმენტებს: პარტიის ბიუჯეტისა და ქონების შესახებ, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში სკკპ პოლიტიკის შესახებ, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი მოძრაობებისა და ორგანიზაციებისადმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამოკიდებულების შესახებ, დემოკრატიული ძალების დასაცავად, კომუნისტთა დევნის წინააღმდეგ, ეროვნული საკითხის შესახებ, თანამედროვე ეტაპზე პარტიის სამხედრო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესახებ, ეკონომიკური რეფორმის და სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის სტაბილიზაციისათვის გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკის შესახებ, გლეხობის მდგომარეობისა და სკკპ აგრარული პოლიტიკის რეალიზაციის შესახებ, ახალგაზრდული პოლიტიკის შესახებ, პრივილეგიების შესახებ.

კომისიის ხელმძღვანელმა თქვა, რომ წინადადებანი, რომლებიც უშუალოდ ეხებოდა ამ დოკუმენტების მომზადების საკითხებს, გადასცეს შესაბამის კომისიებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ანგარიშის შესახებ რეზოლუციის პროექტზე მუშაობაში მონაწილეობდა ყრილობის ბევრი დელეგატი. კომისია ცდილობდა სრულად გაეთვალისწინებინა მათი შესწორებები, შენიშვნები და წინადადებანი. გათვალისწინებულია აგრეთვე ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციებისაგან, ცალკეული კომუნისტებისაგან მიღებული წერილებში ჩამოყალიბებული შენიშვნები და წინადადებანი.

რეზოლუციის პროექტის ზოგიერთი დებულების გამო, თქვა კომისიის თავმჯდომარემ, აზრები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერომანეთისაგან, ზოგჯერ კი უბრალოდ პოლარული იყო. ამ შემთხვევაში, აღნიშნა მან, საჭირო იყო მტკიცედ დაგვეცვა პრინციპული პოზიციები.

ყველა შენიშვნისა და შესწორების გათვალისწინება როდი შეიძლებოდა. მაგალითად, იყო წინადადება შეფასება მისცემოდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ ოქტომბრის შემდგომ პერიოდში განვლილ მთელ ისტორიულ გზას. კომისიის აზრით, იგი გაშუქებული უნდა იყოს პარტიის ახალ პროგრამაში. დელეგატებმა წამოაყენეს სხვა მნიშვნელოვანი წინადადებაც — ჩაიწეროს რეზოლუციაში გადაწყვეტილება, რომ პარტიის ყრილობა მოვიწვიოთ 1991 ან 1992 წელს. ასეთი ჩანაწერი, კომისიის აზრით, არ უნდა გაკეთდეს: ეს ხელფეხს შეუკრავს ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის ახალ შემადგენლობებს.

ბევრი შენიშვნა და წინადადება ეხებოდა ქვეყნის მთავრობის მუშაობას. ისინი გადაეცემულია დაწინაულებისამებრ.

კომისიის თავმჯდომარის გამოსვლის შემდეგ პოლიტიკური ანგარიშის გამო მთლიანად რეზოლუციის ის-ის იყო მიღებული პროექტის შესახებ დარბაზში დადგა საკითხებზე ჩვენ, რა თქმა უნდა, გავითვალისწინებთ. მაგრამ იმის ცდებს, რომ საეჭვო გახადონ ჩვენი პოლიტიკა, უარვყოფ როგორც ყოვლად მიუღებელს, ვიღაცის ანგარებითი ინტერესებით ნაკარნახევს.

ჩვენი ახალი საგარეო პოლიტიკა შეეხო ეკონომიკას, არმიას, თავდაცვას. ყველა ამ მიმართულებით მივდიოდით რეფორმებისაკენ, მათ შორის, სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური დაცულობის სახელმწიფო პროგრამისაკენ. ეს უნდა მოვიმოქმედოთ, რათა არმიამ იგრძნოს ხალხის ზრუნვა.

უნდა დავეხმაროთ ჩვენს კოლექტივებსაც თავდაცვითს მრეწველობაში, სადაც გაერთიანებული არიან საუკეთესო კადრები და სამეცნიერო ძალები, სადაც არის კარგი ფონდები იმისათვის, რომ მოკლე ვადებში გარდავქმნათ წარმოება და ხელი მოვკიდოთ ქვეყნისათვის მეტად საჭირო და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებას. ამით მოიგებს მთელი ქვეყანა, უწინარეს ყოვლისა, იმ მხრივ, რაც შეეხება სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვები დარგების ტექნიკურ განახლებას.

არის, რა თქმა უნდა, სიძნელენი, მაგრამ მათ დროებითი ხასიათი აქვს. უფრო სწრაფად უნდა გადავწყვიტოთ აქ არსებული პრობლემები. მაგრამ განა ეს იმის საბაბია, რომ თვალი ავარიდოთ ყველაფერს, რაც ჩვენმა საგარეო პოლიტიკამ მისცა ქვეყანასა და მთელ მსოფლიოს? მე უარვყოფ იმის ცდებს, რომ ეს საფრთხე გახადონ. ერთ-ერთმა მდივანმა ისიც კი მირჩია, ქვეყნის ფარგლებს გარეთ ნუ ავლოო. რისთვის დავდივართ იქ? იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ ომი, ნორმალურ პირობებში ვაწარმოოთ მოლაპარაკება და, ბოლოს, გამოვათავისუფლოთ და ქვეყნის საჭიროებებს მოვახმაროთ რესურსები.

არ შეიძლება აგვეკეთ პოლიტიკაში არაკომპეტენტურ ადამიანებს, ეს უბედურება იქნება. პარტია, რომელიც ავანგარდობას იჩემებს, იმას კი არ უნდა ცდილობდეს, რომ მოერგოს სხვადასხვა განწყობილებას, არამედ წინ უნდა მიგვიძღოდეს. **(ტაში).** აბა, შეხედეთ, რა კითხვებს მისვამენ: სწორად მოვიქეცით, განიარაღებისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის უზომო და უმაქნისი სამხედრო ხარჯების შემცირების გზას რომ დავადექითო? პასუხი პირდაპირ გამომდინარეობს კითხვიდან. სწორად მოვიქეცით, რომ არ ჩავრიეთ აღმოსავლეთ ევროპის საკითხებში? რაო, კვლავ ტანკები გამოვიყენოთ, კვლავ ვასწავლოთ, როგორ იცხოვრონ? ვფიქრობ, მთელი მსოფლიო ყურს გვიგდებს ჩვენ, როცა გარდაქმნის საქმეს ვაკეთებთ და გვინდა ვაჩვენოთ, რომ ჩვენს საზოგადოებას შეუძლია იყოს პროგრესული, მეგობრულად განწყობილი ყველა ხალხისადმი, შესთავაზოს თანამშრომლობა. აი, როგორ ვახდენთ ზემოქმედებას მსოფლიოზე. **(ტაში).**

ამას ხომ მოფიქრება უნდა, რომ ზოგიერთი ასეთ კითხვასაც სვამს: სწორად მოვიქეცით, ავღანეთიდან რომ გამოვედითო? პირდაპირ არ ვიცი, ვისთან გვაქვს საქმე.

და კიდევ. სწორად ვმოქმედებდით, როცა ცარი ურთიერთობა დავამყარეთ ყველა კონტინენტის ათობით ქვეყანასთან? დიახ, სწორად, და ისინიც გამოგვეხმაურნენ, არა მარტო მმართველები, არამედ ხალხებიც. ბრმა უნდა იყოს კაცი, ეს რომ ვერ დაინახოს. **(ტაში).** საღი აზრი, თუ იგი დაბინდული არ არის ანგარებით-უწყებრივი მოსაზრებებით, მოწმობს, რომ ყველაფერი ეს სწორად იყო გაკეთებული, შეესაბამება ჩვენი ხალხის ძირეულ ინტერესებსა და მორალის ნორმებს, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ახალი პოლიტიკის გარეშე ვერ შევძლებდით გარდაგვექმნა საკუთარი ქვეყანა.

ვფიქრობ, რომ ახლა-განმარტებანი, რომლებიც ყრილობაზე და ყრილობამდე გამოთქვეს ჩემმა კოლეგებმა, მთელმა რიგმა სხვა ორატორებმა, საკმაოდ დამაჯერებელია. ამიტომ მე მხოლოდ ემოციები დავუმატე საკითხის სიცხადისათვის.

ის, ვისაც მოსმენა სურს და უყურები ასხია, მოისმენს. ვისაც არ უნდა, ეს მისი პირადი საქმეა. ჩვენ კი საკუთარი აზრი გვექნება ამის შესახებ, მაგრამ არის ერთი ნიუანსი. ისინი, ვისაც მნიშვნელოვანი პოსტები უკავია საბჭოთა სახელმწიფოში, პირდაპირი კავშირი აქვს ჩვენს საერთაშორისო საქმიანობასთან, თუნდაც არ ეთანხმებოდნენ ქვეყნის ხელმძღვანელობის პოლიტიკას, თავისი პირადი აზრის მიუხედავად მოვალენი არიან ახორციელებდნენ საბჭოთა სახელმწიფო კურსს. არ შეიძლება, რომ პრეზიდენტსა და მთავრობას ერთი გეზი ჰქონდეს, ვიღაცას კი მეორე, და მას ახორციელებდეს. ასეთი რამ არ ხდება არც ერთ სახელმწიფოში. სამსახურში მყოფნი ლოიალური უნდა იყვნენ მთავრობის მიმართ. ხოლო თუ ისინი წესიერი ადამიანები არიან და არ ეთანხმებიან მთავრობის პოლიტიკას, უნდა გადადგნენ. **(ტაში).**

ახლა პარტიისა და მისი ბედის შესახებ. საკითხი, რომელმაც აქ მოგვიყვანა, ერთ-ერთი მთავარია. ჩემთვის ეს მთელი სიცოცხლის და ადამიანური პოზიციის საკითხია. როგორია აქ ყრილობის გაკვეთილი? ამხანაგები გამოთქვამდნენ შეშვავე წუხილს, რომ პარტია ავტორიტეტს კარგავს, სუსტდება მისი პოზიციები. მას ავიწროებენ სხვა პოლიტიკური ძალები, ხოლო ზოგან კომუნისტები იძულებული გახდნენ ოპოზიციაში გადასულიყვნენ. ამისათვის ბრალს სდებდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას და განსაკუთრებით მის ზოგიერთ წევრს. ამთავითვე ვიტყვი, რომ ეს კრიტიკა ბევრ რამეში, ამხანაგებო, არსებითად სამართლიანია. მე მხოლოდ ფორმის წინააღმდეგი ვარ. ჩვენთან ყრილობაზე არ უნდა იყოს ორი უკიდურესობა: ვინმეზე ჭორიკნობა და უტიფრობა: აი ეს არის და ეს, დანარჩენი პირდაპირ უნდა ითქვას, **(ტაში).**

მე აქედან გამომაქვს დასკვნა, რომ იმპულსები, რომლებსაც ცენტრალური კომიტეტი გამოსცემდა ყველა ამ მიმართულებით, საკმარისი არ იყო. ამავე დროს ბრალს წილი ეკისრებთ ყველა დონის პარტიულ კომიტეტებს. ამხანაგებო, სამუდამოდ წავიდა ის დრო, როცა შეიძლებოდა ცენტრალური კომიტეტისაგან მიგეღო რაიონის, ქალაქის, ოლქის, რესპუბლიკის მართვის თავისებური მანდატი და ამ ადგილზე მჯდარიყავი სიცოცხლის ბოლომდე, მიუხედავად იმისა, თუ როგორ წარმართავ საქმეს და რას ფიქრობენ შენზე ადამიანები. ასე იყო აქ, ზემოთ, ასე იყო რესპუბლიკურ დონეზე, ასე იყო ყველა დონეზე. ეს უნდა აღვნიშნოთ. მაგრამ ეს დრო წავიდა, სამუდამოდ წავიდა. ამაში დარწმუნებული ვარ. ვერავითარი გზებით ვერ დააბრუნებ გუშინდელ დღეს, და ვერავითარი დიქტატურა — თუ ვინმეს თავში ეს ბოდვითი იდეა უტრიალებს — ვერაფერს ვერ გადაწყვეტს. ჩვენ სწორ გზას ვადგავართ. ოღონდ ამ გზით „მტკიცედ, გულდაჯერებით უნდა ვიაროთ და გავთავისუფლდეთ სუსტი მხარეებისაგან, აი ამოცანათა ამოცანა, და ჩვენ უნდა შევიმუშაოთ ისეთი პოლიტიკა და ტაქტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მის გადაწყვეტას. აქ პარტიას ვერავინ შეცვლის. მას ამის ძალა შესწევს.

რა უნდა ვქნათ ახლა იმისათვის, რომ პარტიის ავტორიტეტი იზრდებოდეს, რომ ჩვენი გავლენა ისეთი იყოს, როგორიც გვინდა. მთავარია — ყველა პოსტზე იყვნენ თანამედროვედ მოაზროვნე, პოლიტიკურად გაქვრიახი, გარდაქმნის ნამდვილად გულწრფელი მომხრეები, და არა შეგზუებელნი, რომლებიც მზად არიან წარმოთქვან სიტყვები „გარდაქმნა“, „დემოკრატია“, „სოციალიზმი“, „ოლიგარქია“, „ადამიანური სოციალიზმი“, „ადამიანური ... [illegible]

[illegible]

საქართველოს დღე

სკკპ XXVIII ყრილობაზე წარგზავნილი დელეგაციის პრესკონფერენცია

10 ივლისს დილით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში გაჩნდა განცხადება სკკპ XXVIII ყრილობაზე წარმოგზავნილ საქართველოს კომპარტიის დელეგაციასთან მომავალი შეხვედრის შესახებ, რამაც სერიოზული კორექტივები შეიტანა ჟურნალისტთა სამუშაო დღეში. ამ პარტიულ ფორუმზე მთელი მსოფლიოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა 1.700-ზე მეტი წარმომადგენლის მოსვლა თვალსაჩინოდ მოწმობს, თუ რა უდიდეს ინტერესს იჩენენ მმართველი პარტიის ახლანდელი ყრილობისადმი. ჩვენი დელეგაციის მიერ ყრილობაზე მკაფიოდ ჩამოყალიბებულმა პოზიციამ კიდევ უფრო გააძლიერა საბჭოთა და საზღვარგარეთელი ჟურნალისტების ყურადღება საქართველოს წარმომადგენლებისადმი, რომლებიც მანამდეც მათი ყურადღების ცენტრში იყვნენ. კერძო საუბრებში, სხვადასხვა ღონისძიებაზე შეხვედრების დროს ჩვენი კოლეგები მუდამ გვკითხებოდნენ, თუ რა სიტუაციაა ახლა ჩვენში, როგორია ძალთა განაწილება და შესაძლო პერსპექტივები. ამასთან მუდამ ეკითხოდნენ მოგვეწყო შეხვედრა ჩვენი დელეგაციის რომელიმე წევრთან. სხვათა შორის, ჩვენდა გასაოცრად, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობის შემდეგ განვლილ დროში პრესის მუშაკებმა ბევრი რამ შეიტყვეს ჩვენში მიმდინარე პროცესებზე. თანაც, წარსულისაგან განსხვავებით, ჭარბობს ობიექტური ინფორმაცია, ნაკლებია შონაჭორებსა თუ ფაქტების შეგნებულ დამახინჯებაზე დაფუძნებული მსჯელობანი. ვფიქრობთ, დადგა ჩვენი პრობლემების გაგების პერიოდი (ყოველ შემთხვევაში, ასეთი სურვილი ჟურნალისტთა უმრავლესობას აქვს). ამის მიზეზი, როგორც ჩანს, ის უნდა ყოს, რომ საქართველოში დაწყებული, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ორი წლის წინათ იატაკქვეშეთიდან გამოსული სავსებით კანონზომიერი პროცესები ახლა რეალობა გახდა ქვეყნის მეტი წილი რეგიონებისათვის, რომლებიც მეტ-ნაკლებად აწყდებიან იმავე პრობლემებს, როგორსაც ჩვენში. გაჩნდა ყოველივე მომხდარის გაანალიზების და, მაშასადამე, პრაქტიკული ღონისძიებების ძიების საჭიროება.

ყოველივე ეს კარგად იგრძნობოდა პრესცენტრში გამართულ შეხვედრაზე. იგი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გივი გუმბარიძემ.

მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ საქართველოს დელეგაციის ყრილობაზე აქვს კონკრეტული ამოცანა — დელეგატებს გააცნოს საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის პირველ ეტაპზე ჩამოყალიბებული პოზიცია. იგი



სხვა მომენტებთან ერთად, ითვალისწინებს ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვას, სახელმწიფოებრიობის აღდგენას, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას. ყოველივე ეს, ბუნებრივია, გულისხმობს, რომ დამოუკიდებელ საქართველოში შეიქმნება აქ მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა ინტერესების დაცვის ყველა გარანტია.

შეხვედრაზე შეეხნენ საქართველოს როლს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კონფლიქტის მოწესრიგებაში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ მიზნით ორივე რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან დამყარებული მუდმივი კონტაქტები, რომლებიც სულ უფრო ინტენსიური და დამაიმედებელი ხდება.

შემდეგ ჟურნალისტებმა დასვეს კითხვები, რომლებიც ეხებოდა რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების სულ სხვადასხვა მხარეს.

— პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მიღწევა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გარდაუვალად სვამს დღის წესრიგში შესაბამისი კადრების მომზადების პრობლემას — რა კეთდება რესპუბლიკაში მისი დროული გადაჭრისათვის?

— ჩვენში უკვე მოქმედებს მუნეჯერთა სკოლები. საქმიანი კონტაქტები გვაქვს დამყარებული საზღვარგარეთის ცენტრებთან, მიმდინარეობს სპეციალისტების გაცვლა, გამოცდილების გაზიარება. ასეთი კონტაქტები მომავალში კიდევ უფრო გაფართოვდება. ხომ საჭირო იქნება წარმოებათა ხელმძღვანელების მომზადებაც, რომლებსაც უნარი ექნებათ თვისებრივად ახალ დონეზე წარმართონ მეწარმეობა.

— გადაწყვეტილია თუ არა სტუდენტთა მოთხოვნებთან დაკავშირებული ყველა საკითხი?

— ბევრი საკითხი გადაწყვეტილია, დანარჩენთა გადასაწყვეტად წარმოებს და კვლავაც იწარმოებს მუშაობა.

— როგორ ეკიდებით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში არსებულ პოლიტიკურ პლატფორმებს?

— თითოეული მათგანი შეიცავს რაციონალურ მარცვალს, მაშასადამე, არის მათთან ნაყოფიერი თანამშრომლობის რეალური საფუძველი.

— როგორ ფიქრობთ, ვის აირჩევს ყრილობა გენერალურ მდივნად?

— ჩვენ გორბაჩოვს ვუპერთ მხარს.

— გენერალური მდივნის მოადგილე ვინ იქნება?

— ის, ვისაც გენერალური მდივანი შემოგვთავაზებს.

— როგორ ფიქრობთ, შესუსტდა თუ არა ნდობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისადმი?

— პარტიისადმი ნდობის დონე არჩევნების შედეგებით იზომება, უნდა დაველოდოთ.

— თქვენი აზრი ბორის ელცინის გამოსვლის გამო?

— იგი უდავოდ ყურადღებას იმსახურებს.

— ბევრი დელეგატი მისცემს ხმას ლიგაჩოვს გენერალური მდივნის პოსტზე?

— ჩვენი დელეგაცია ხმას მისცემს გორბაჩოვს.

შეხვედრაზე, რომელმაც ცალთმოსტენეობის ატმოსფეროში ჩაიარა, გაისმა მრავალი სხვა კითხვაც. გივი გუმბარიძის, ნოდარ ჭითანავას, ნიკოლოზ ლეკიშვილის, ნოდარ ამაღლობელის, ლორიკ მარშანიას პასუხი დამსწრეთ დიდი ყურადღებით მოისმინეს.

თ. ბრიგალაშვილი,
საინფორმის სპეც. კორ.
მოსკოვი.

ხურათებზე: პრესკონფერენციის დროს.

ი. დავითაშვილის ფოტო.
(ხაფეხ-საინფორმი).

საინტერესო ცვლილებები გველის

გენერალური მდივნის არჩევამ გააძლიერა დელეგატთა ინტერესი ყრილობისადმი. ცხარე დისკუსია მიმდინარეობს ყველგან — დარბაზში, სექციებში, კომისიებზე, რაონული და საქალაქო პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელთა შეხვედრებზე...

ყრილობამ ბევრი რამე ამოტივტივა. ხაზგასმით ითქვა ამა თუ იმ ტენდენციის მომავალ განვითარებაზეც.

ყრილობა გრძელდება, მისი საბოლოო შეფასება დამთავრების შემდეგ შეგვიძლია, ახლა კი მოვუსმინოთ დეპუტატებს, რომელთა აზრი ნათლად ასახავს კომუნისტთა ფორუმის მიმდინარეობას.

ნ. ნაზარბაევი — ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე:

დამეთანხმებით, რომ XXVIII ყრილობამ მოლოდინი ვერ გაამართლა იმ თვალსაზრისით, რომ გვეგონა უფრო სერიოზული იქნებოდა, არაერთ კონსტრუქციულ წინადადებას შევიტანდით კომპარტიის გარდასაქმნელად, მაგრამ ასე არ მოხდა. დღეს ყოველი მხრიდან გვესმის, რომ იგი ულიმამად მიმდინარეობს, სავსეა ყოვლად გაუმართლებელი, წვრილმანი ინტერესების მატარებელი შეხლა-შემოხლით, ნაჩქარევია გარკვეული წრის ფუნქციონერთა სასარგებლოდ. ყოველივე ამის მიუხედავად, ყრილობამ იმედის ნაპერწკალი მაინც ჩაგვისახა, უპირველესად იმით, რომ კვლავ გორბაჩოვია გენერალური მდივანი. როგორც იქნა, რესპუბლიკებს მოგვაქციეს ყურადღება და კომპარტიების პირველი მდივნები პოლიტბიუროში შეყავთ. ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, რამდენად ერთსულოვანი ვიქნებით, როგორ გამოვიყენებთ ჩვენ-ჩვენი ერისთვის ამ უპირატესობას.

ზჩირად მეუბნებიან ჟურნალისტები: ორი დიდი პოლიტიკოსი და ინტელექტუალის — ე. შევარდნაძისა და ა. იაკოვლევის წასვლა პოლიტბიუროდან ძალიან გაგაღარიბებთო.

სწორი ბრძანებაა. ჩემთვის ედუარდ შევარდნაძე ის გიგანტია, რომლის შემცვლელი არ არის, მაგრამ, ისიც კარგად ვიცი, პოლიტბიურო ძველებურად „ყოვლისშემძე“ ადამიანთა კოლექტიური ძალაუფლებას აღარ წარმოადგენს, რომ კომპარტიის აკტორიტეტის დაქვეითების პირობებში იგი ყველას და ყველაფერს ვეღარ მოიცავს. პოლიტბიუროს სხდომები, ალბათ, თვეში ერთხელ გაიმართება და რაბმე გლობალურ საკითხს შეეხება. სამაგვიროდ გადაწყვეტილია სამდინარეოს გაძლიერება.

ჩვენთვის, ვფიქრობ, მთავარია დამოუკიდებლობა. რესპუბლიკებთან მეგობრული, ელ კავშირი, ახალი ხელშეკრულების დადება. განსაკუთრებული ყურადღებით, მოკრძალებით და იმედით მიჭირავს თვალი საქართველოზე. დიდი ხალისით გავაგრძელებ და გავაღრმავებ საქმიან მეგობრობას ქართველებთან. იმედია, ხელსა და გულს მივცემთ ერთმანეთს. მე კონფედერაციის მომხრე ვარ და არა ლიტველთა მოუზომავი და ნაჩქარევად გადადგმული ნაბიჯის ტაშის დამკვრელი. ჩემი აზრით, როცა ერის წინამძღოლობას გაწყდებენ, უდიდესი პასუხისმგებლობა გმართებს, არავითარი დაჯგუფებების თუ პარტიების პირადი, მოუფიქრებელი და მოუზომავი სურვილების ანკესს არ უნდა წამოეგო.

ახალგაზრდებს, რომლებიც წელს ჩაირიცხებიან უნივერსიტეტში, მომავლის საქართველოში მოუწევთ შრომითი საქმიანობის დაწყება. ეს კი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს როგორც მათ, ისე ჩვენი უმაღლესი განათლების ფლაგმანის დიდ კოლექტივს. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ანმყოსა და მომავალზე გვესაუბრება **პრორექტორი ლევან ალექსიძე.**

— ბრძენკაცს უთქვამს: „სწორი გზის მორახვა გამარჯვების საწინდარიაო“. ამიტომ საინტერესოა თუ რა გზებს სახავთ კარს მომდგარი მისაღები გამოცდების წარმატებით დასაგვირგვინებლად?

— სადღეისოდ, სწორი გზის მონახვა მარტო მისაღები გამოცდებისთვის არ გვჭირდება. ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში, სამწუხაროდ, ახლოდანაა დასაკვალიანებელი. ამ მძიმე და შრომატევადი საკითხების ერთი ხელის დაკრით მოგვარება, დამერწმუნებით, შეუძლებელია. იგივე შეიძლება ითქვას გამოცდებზეც.

ჯერჯერობით, უმთავრეს პრობლემად კვლავ ობიექტურობის დაცვა მიგვაჩნია. ვფიქრობ, ამ მიმართულებით უნდა მოხდეს ჩვენი ყურადღების მობილიზება. ამისთვის შევქმენით საპრეტენზიო და საапელაციო კომისიები, რომლებიც მოაგვარებენ ყველა კონფლიქტურ სიტუაციას და, რაც მთავარია, უნივერსიტეტის პრობლემა უნივერსიტეტშივე გადაიჭრება, მის საქმეში ამბერიდან სხვა ორგანიზაცია ვეღარ ჩაერევა.

— ჩვენს ქვეყანაში ხერხოზულად ირჩევა თავი ზნეობისა და პროფესიონალიზმის დეფიციტმა. ყველა ობიექტურ მიზეზთან ერთად უმაღლესი სკოლაც სცდავდა. საინტერესოა, დაკავშირებულია თუ არა ეს მოვლენა რაიმე ნიშნით მისაღებ გამოცდებთან?

— მისაღები გამოცდები, სწორედ ამ მიზეზით, ეროვნულ ტრაგედიად მიმაჩნია. სამწუხაროდ, ეგრეთ წოდებული პროფორიენტაცია საკმაოდ დაბალ დონეზეა, რადგან ძირითადი ზღვარი, რომელიც გამოჯნავს ადამიანის სურვილს და შესაძლებლობას, დღეს წაშლილია. რატომღაც ყველას ჰგონია, რომ შეუძლია სწავლა. მთთვის არა აქვს მნიშვნელობა როგორ ისწავლის, მთავარია, თუნდაც ვაი-ვაგლახით, მიიღოს დიპლომი. ეს კი საკმაოდ იოლია, რადგან ჩვენ ძალზედ იშვიათად ვრიცხავთ სასწავლებლიდან სტუდენტს, და თუ გავრიცხავთ, ერთორ წელიწადში ისევ აღვადგენთ ხოლმე. ამით ფართოდ ეხსნება კარი არაპროფესიონალიზმს. ამიტომ დიპლომს, როგორც კვალიფიკაციის დასტურს, დღეს პრაქტიკულად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ალბათ, იკითხავთ, როგორ მივედით ამ დონემდეო. ვფიქრობ, ეს ჩვენს ეკონომიკასა და განათლებაში, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში კადრების დაკომპლექტების მაგნე წესის შედეგია. წლების მანძილზე ვამაყობდით იმით, რომ საქართველოში პრიცენტულად ყველაზე მეტი უმაღლესდამთავრებულიაო. იმას კი აღარ ვამბობდით, რომ ყველაზე სუსტი კვალიფიკაციის სპეციალისტებიც სწორედ ჩვენ გვყავდა.

დღეს, როცა დაგვჭირდა ნამდვილი პროფესიონალი, დავინახეთ, რა ხელმოცარულნი ვყოფილვართ. ახლა იშვიათად მეგულება აბიტურიენტი, რომელიც სურვილთა და მოწოდებით მიდიოდეს ამა თუ იმ ფაკულტეტზე. ეს კი ნიშნავს, რომ კვლავ დიპლომმანიანის ტყვეობაში ვართ. არადა, რა დიდი ტრადიციები აქვს ფიზიკის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ქართველოლოგიის სპეციალობებს, ფიზიოლოგიისა და მათემატიკის ფაკულტეტებს.

— წლევანდელი გამოცდები მნიშვნელოვანი სიახლეებით არ გამოირჩევა. ამ მხრივ უნივერსიტეტში ხომ არ უნდა ველოდეთ გამონაკლისს?

— მნიშვნელოვანი სიახლეები მართლაც არ იქნება, ერთი კია, რომ შარშანდელმა ექსპერიმენტმა ლამის დაადამხვავა სასწავლო პროცესი. დაეგემლთან შედარებით ხუთ-ექვსჯერ მეტმა მიიღო „სტუდენტის ბილეთი“. ამიტომ არ გვყოფნიდა აუდიტორიები. ასეთი ვითარების გამო გადავწყვიტეთ, გაქოცდების ზედმეწევნით ობიექტურობით ჩატარება, რათა კვლავ არ გაეხსნათ გზა ნაკლებად მომზადებულებს უნივერსიტეტისაკენ. გამოცდების შემდეგ არავითარი დამატებითი ჩარიცხვები არ მოხდება.

— როგორ გგონიათ, უპირველესად რა რეფორმებია საჭირო, იმისათვის, რომ უნივერსიტეტდამთავრებული ყველა ახალგაზრდა თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალი იყოს?

— მკრეხელობაში ნუ ჩამომართმევთ და, ამისათვის, ჩემი პირადი აზრით, უნივერსიტეტი უნდა გახდეს ელიტარული. საჭიროა გაახვევდეს კონტინგენტი და მკვეთრად ვიაზრადოს სწავლების ხარისხი. მასობრივი უმაღლესი განათლება მე ყოვლად მიუღებლად მიმაჩნია.

ცივილიზებულ ქვეყნებში სასწავლებლად მიდის ადამიანი, რომელსაც, საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გარანტია აქვს, რომ მალე აინაზღაურებს იმ თანხას, რომელიც სწავლის მისაღებად დაეხარჯა. გარკვეული მონაცემების გარეშე ახალგაზრდა იქ არ წავა უმაღლესში, რადგან იცის, რომ ეს წლები მისთვის დაკარგული იქნება. ჩვენთანაც სულ მალე მოსალოდნელია ასეთი ძვრები.

როდესაც ფიზიკური შრომა გაცილებით მეტ დოვლათს მისცემს ადამიანს, ხოლო ქეშმარიტი ცოდნის გარეშე ადგილს ვერ იპოვის ცრუ დიპლომით შეიარაღებული. მაშინ არ იქნება ასეთი ლტოლვა უმაღლესი სასწავლებლებისაკენ, ხოლო ვინც მოვა აქ, აღიქურვება ჭეშმარიტი პროფესიონალიზმით.

— ეროვნული მოძრაობის აღმავლობამ განაპირობა ხაზგადაღებებ თითქმის ყველა ფენის დაინტერესება პოლიტიკით. განსაკუთრებით კი ხტუდენტობისა. როგორ აფასებთ ამ მოვლენას — დადებითად თუ უარყოფითად?

— სტუდენტობა თვით უმძიმეს დროსაც კი ქვეყნის სადარაჯოზე იდგა. სწორედ უნივერსიტეტის ნათელი ძალები იცავდნენ ქართული კულტურის ძეგლებსა და შუბლიერ ენას ათეული წლების მანძილზე. ეროვნული მოძრაობის აღმავლობაშიც ერთ-ერთი წამყვანი ძალა სტუდენტობა იყო. ამის შემდეგ, ისინი ნელ-ნელა ჩაებნენ პოლიტიკურ საქმიანობაში. სიამაყით უნდა გითხრათ, რომ ჩვენმა ახალგაზრდობამ სწორი გეზი აიღო, ბრძოდ არ აყვა ამა თუ იმ მიმდინარეობას. ყველა აქციის მსვლელობისას ისინი სწორად განსაზღვრავდნენ თავის მეობას და ისეთ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, რომლებიც ყველაზე გონივრული იყო მოცემული მომენტისათვის. ალბათ, ითხოვდნენ ერთ-ორ წელიწადში ინტერნეტი ხომ ეროვნული მოძრაობის ერთადერთი დასაყრდენი იყო, რისთვისაც ხშირად მკაცრად გაუკრიტიკებივართ. ამას არ ვუშინდებოდით, რადგან უნივერსიტეტი ერის საუნჯეა, სადაც ყველას უნდა ჰქონდეს საქვეყნოდ აზრის გამოთქმის უფლება.

რაც შეეხება საერთო გატაცებას პოლიტიკით, სრულიადაც არ არის გასაკვირი, რადგან წლების მანძილზე პოლიტიკური ინდიფერენტიზმი და გულგრილობა უცდენტი კი მკაცრია, ვერ ეგუება გარდამავალი პერიოდის თავისებურებებს. რეალური ცვლილებები კი საკმაოდ თვალში საცემია: შეწყვეტეთ გამოცდები პოლიტეკონომიაში, პარტისტორიის ნაცვლად ისწავლება მეოცე საუკუნის პოლიტიკური ისტორია, ისტორიულ და დიალექტიკური მატერიალიზმის ნაცვლად — ფილოსოფია, მეცნიერული კომუნიზმის ნაცვლად — პოლიტეკონომია. სწორედ საზოგადოებრივი მეცნიერებისადმი ასეთი მიდგომა გახდის შესაძლებელს, სტუდენტი გაეცნოს ერთის ნაცვლად მრავალ თეორიას და თავისი მოღვაწეობის იდეოლოგიად გაიხადოს ის, რომელიც უფრო ახლო იქნება მის შინაგან სამყაროსთან.

ერთსაც დავამატებ, რომ პოლიტოლოგიას გარდა თეორიულისა, პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს, რადგან იგი უშუალოდ უკავშირდება თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებას. ამჟამად მზადდება სალექციო კურსები, რომლებიც მალე დაისტამბება.

— ახლა ყველა მომხრეა იმისა, რომ სახწავლებლები გათავისუფლდნენ ნებისმიერი იდეოლოგიისაგან. უნივერსიტეტის ბრძოლა სრული დამოუკიდებლობისათვის, ფფიქრობ, სწორედ აქეთ იყო მიმართული.

— დეიდეოლოგიისაკენ უნივერსიტეტმა პირველმა გადადგა ნაბიჯი. ჩვენს სტუდენტსა თუ პროფესორ-მასწავლებელს სურვილისამებრ შეუძლია იყოს ნებისმიერი პარტიის წევრი, მაგრამ არავითარი შტაბ-ბინა არ უნდა ფუნქციონირებდეს აქ. სასწავლებელში რომელმე პარტიის შეღწევა ნიშნავს იდეოლოგიის მონოპოლიას მის ხელში, რაც თავისი იდეების თავს მოხვევა იქნება. სამწუხაროდ, ჩვენ ამის დიდი გამოცდილება გვაქვს და არც ერთ შემთხვევაში აღარ დავუშვებთ მის გამეორებას.

— იყო დრო, როდესაც ზარ-ზეიმით ვაცილებდით რუხეთის შორეულ მხარეებში ქართველ სტუდენტებს მესამე შრომით სემესტრში მონაწილეობის მისაღებად. ამ დროს ჩვენ თვითონ მაერთვით გვჭირდებოდა მათი ძლიერი მარჯვენა. საინტერესოა, მიიღებს თუ არა მონაწილეობას უნივერსიტეტის ახალგაზრდობა რომელიმე ჭეშმარიტად პატრიოტულ მშენებლობაში?

— როგორც იქნა, ამ პრობლემას, დავაღწიეთ თავი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ არც ადრე არიდებდა თავს უნივერსიტეტის ახალგაზრდობა პატრიოტულ მშენებლობებს. ახლა — მით უმეტეს, მთელი ძალები სწორედ ასეთი ობიექტებისკენ არის მიმართული.

წელს, საპატრიარქოს თხოვნით, რაჭაში იმუშავებენ ჩვენი რაზმები. იმუშავებენ ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიაშიც, სადაც უნდა აშენდეს საცხოვრებელი სახლები. სტუდენტობა უკვე მზად არის და სულ მალე გაეშგზავრება.

— ხშირად გვესმის: უნივერსიტეტის ეხა და ეს ფაკულტეტი ან ჯგუფი უარს აცხადებს ამა თუ იმ საგნის ჩაბარებაზეო. ხშირად ეს შეიძლება გამართლებულიც იყოს, მაგრამ ხომ არ არსებობს მეორე უკიდურესობის საშიშროება, რომ, დღესაც, დაუშვათ, ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი უარს განაცხადებს ქართული ენის ჩაბარებაზე?

— მან შემდეგ, რაც გავაუქმეთ სახელმწიფო გამოცდები მარქსიზმ-ენინიზმში, ზოგიერთ ფაკულტეტზე აღარ დარჩა სახელმწიფო გამოცდა. ამიტომ იგი შევცვალეთ სპეციალური საგნით. ამან გამოიწვია ჩვენთვის გაუგებარი მღელვარება. მართლაც, სტუდენტები მეორე უკიდურესობაში გადავარდნენ. თუ აღრე ითხოვდნენ არასპეციალური საგნების მოხსნას და ჩვენც ვეთანხმებოდით ამ სამართლიან მოთხოვნებს, ახლა, მაგალითად, იურისტები და ფილოლოგები სპეციალური საგნების ჩაბარებასაც უკადრისობენ. მართალია, საბოლოოდ იურისტებს აღმოაჩინდათ მეტი მოქალაქეობრივი შეგნება და გამოცდა ჩაბარეს, მაგრამ ფილოლოგები კვლავ ჯიუტად უარობენ ქართული ენის გამოცდაზე გასვლას. ვფიქრობ, ეს მავნე ტენდენცია, უფრო ზუსტად იოლი გზის ძიებაა. ამ შემთხვევაში რექტორატს თავისი მტკიცე პოზიცია აქვს შემუშავებული და არც ერთ შემთხვევაში არ დაუშვებს არანორმალურ გადახრებს.

— დარწმუნებული ვარ, მალე ბევრი სიახლე იქნება უნივერსიტეტის შინაგან ხტრუქტურაში, ხომ ვერ გაგვიზიარებდით ზოგიერთ მათგანს?

— ყველაზე დიდი სიახლე, ალბათ, ის იქნება, რომ სულ მალე მივიღებთ მაქსიმალურ უფლებებს. როგორც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, ჩვენთანაც უნივერსიტეტი მხოლოდ და მხოლოდ რესპუბლიკის პარლამენტს უნდა ემორჩილებოდეს, სხვას ჩვენს საქმეში ჩარევის უფლება არ უნდა ჰქონდეს. სწორედ ამის შემდეგ შევძლებთ მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, რადგან სასწავლო პროგრამებისა და გეგმების, სასწავლო სტრუქტურის შერჩევა მხოლოდ ჩვენზე იქნება დამოკიდებული, ჩვენ კი ვალდებულნი ვიქნებით ერის წინაშე.

„უნივერსიტეტის უფლებების გაფართოებასთან ერთად, მაქსიმალურად გიზრდება თითოეული ფაკულტეტის თვითმყოფადობაც. ესეც დიდი ორგანიზებულობის სიმბოლოდ მესახება.

გარდა ამისა, აუცილებლად აღსანიშნავია ახალციხეში ჩვენი ფილიალის გახსნის ფაქტი. წელს იქ ჩაირიცხება ასი სტუდენტი, რომლებიც შემდგომში თავის რეგიონს დაეკმაყოფილებენ კვალიფიციური კადრებით.

— როგორ წარმოგიდგენიათ დამოუკიდებელი საქართველოსა და დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ურთიერთობა?

— დამოუკიდებელი საქართველო მოგვცემს აღორძინებისა და ფყვავილის საშუალებას, ხოლო უნივერსიტეტი სამშობლოს მისცემს პროფესიონალებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის,

ესაუბრა

გელა ნატროშვილი.

უნივერსიტეტი-ერის სამსახურში

უცხოელთა აზრი პარტიის XXVIII ყრილობაზე

„მ. გორბაჩოვმა დიდი გამარჯვება მოიპოვა — მოსკოვში მომდინარე კომუნისტური პარტიის ყრილობამ ხმა მისცა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოს — პოლიტბიუროს სტრუქტურის შეცვლას, — განაცხადა ამერიკის ეი-ბი-სის ტელეკომპანიის ახალი ამბების პროგრამის წამყვანმა. — ახალ პოლიტბიუროში 15-ვე საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენლები იქნებიან, რომლებიც გაცილებით მეტად იზიარებენ გორბაჩოვის რეფორმისტულ შეხედულებებს, ვიდრე ისინი, ვინც მანამდე ბატონობდა ამ ორგანოში“.

„პრეზიდენტმა მ. ს. გორბაჩოვმა მოიგო ბრძოლა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის სტრუქტურისათვის და შეამცირა იმის შესაძლებლობა, რომ მკაცრი გუნის მომხრეები ხელ-ფეხს შეუბორკავდნენ, — იუწყება მოსკოვიდან „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი. — ყრილობის დელეგატების მნიშვნელოვანმა უმრავლესობამ ხმა მისცა გაფართოებულ პოლიტბიუროში 15 რესპუბლიკის პარტიების ხელმძღვანელთა შეყვანას. ეს ნაბიჯი, როგორც ჩანს, იმის გარანტიას იძლევა, რომ კონსერვატორები ვერ მოახერხებენ ამ ხელმძღვანელი ორგანოს დაკომპლექტებას გორბაჩოვის კრიტიკოსებით“.

„სან-ფრანცისკო იკზემინერი“ აქვეყნებს კომენტარს, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა ორშაბათს გაიმარჯვა ძალაუფლებისათვის კრიზისულად დიდმნიშვნელოვან ბრძოლაში და მიაღწია იმ გადაწყვეტილების მიღებას, რომ არსებითად შეიქმნას ახალი პოლიტბიურო, რომელიც, როგორც მოსალოდნელია, მხარს დაუჭერს მის რეფორმებს და შეასუსტებს ცენტრის კონტროლს 15 რესპუბლიკისადმი. ასეთი ცვლილება იმის გარანტიას იძლევა, რომ ადამიანთა პატარა ჯგუფს, რომელიც ტრადიციულად მართავდა საბჭოთა კავშირს, ძირითადად პრორეფორმისტულად განწყობილი კომუნისტები შეცვლიან. გარდა ამისა, პოლიტბიუროს ახალ წევრთა უმრავლესობა მოსკოვში არ იცხოვრებს, რაც გორბაჩოვს საშუალებას მისცემს პარტიის პოლიტბიუროს ძალაუფლება გადასცეს მთავრობას, რომელსაც თვითონ მეთაურობს, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი.

ყრილობის დელეგატთა გადაწყვეტილება, რომ მხარი დაუჭერს ორ პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების სტრუქტურის შეცვლას, წერს „ფაინენშლ ტაიმსი“, პრეზიდენტ მ. გორბაჩოვის აშკარა გამარჯვების ნიშანია. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამის შედეგად პოლიტბიუროს შემადგენლობა სავსებით შეწონასწორებული იქნება. „გორბაჩოვმა ყრილობის მონაწილენი დაარწმუნა, რომ საჭიროა გადავიდნენ პარტიის ლიდერისა და მისი მოადგილის პირდაპირი არჩევის სისტემაზე და ამით პრაქტიკულად თავი დაიზღვია იმის ახალოგიური შინაპარტიული გადატრიალებისაგან, რომელიც 1964 წელს მოხდა ხრუშჩოვის წინააღმდეგ. იბრძოდა რა დასახული მიზნის მისაღწევად, აღნიშნავს გაზეთი, გორბაჩოვი იძულებული გახდა ზოგი რამ დაეთმო, კერძოდ, შეენარჩუნებინა პოლიტბიუროში, აგრეთვე გენერალური მდივნის პოსტი, მაგრამ პრეზიდენტმა ისიც მოახერხა, რომ ამ ცნებებისათვის ის შინაარსი მიენიჭებინა, რომლისთვისაც იღვწოდა“.

„ფაინენშლ ტაიმსის“ აზრით, „მთავარი პოლიტიკური ბრძოლა გაჩაღდება არა იმ მომენტში, როცა გენერალურ მდივანს აირჩევენ, — ვერავინ ვერ გაბედავს გორბაჩოვის წინააღმდეგ გამოსვლას, არამედ მაშინ, როცა მისი მოადგილისა და ცენტრალური კომიტეტის ახალი წევრების არჩევაზე მიდგება ჯერი“.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად მ. ს. გორბაჩოვის არჩევა უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კომენტარების მთავარი თემაა, რომლებიც ამ ამბავს საბჭოთა ხელმძღვანელის „დიდმნიშვნელოვან გამარჯვებას“ უწოდებენ, რომელიც „დასტურებს, რომ „მხარს უჭერენ მის რეფორმების პროგრამას“.

„მოსკოვში მიმდინარე კომუნისტური პარტიის ყრილობამ დელეგატთა 75 პროცენტის ხმა-ბული ვარ, ორატორთა უმრავლესობა პირად ანგარიშებს ასწორებს, ყურით მოთრეული ფაქტები და ჭორები გამოაქვთ ტრიბუნაზე და ამაზე ეკარგავთ დროს. სიტუაცია ფრიად რთულია. ფორუმის მონაწილეთა დიდი ჯგუფი „რკინის ხელს“ მოითხოვს, ეეკოვის აჩრდილს ეძებენ დარბაზში. ასეთ სიტუაციაში ჩვენ მიერ ჩამოტანილი ოფიციმენტები მოსკოვში და სამდივნოს ჩაბარებული, რათქმა უნდა ვერაფერ კონკრეტულ შეფასებას ვერ მიიღებდა.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ჩხუბით, დავით, იბულებით ვერაფერს გავხდებით და არც არის საჭირო. მიხეილ გორბაჩოვს ძალიანაც რომ სდომებოდა, ჩვენს კონფედერაციის სურვილს მხარს ვერ დაუჭერდა. ეს ფაქტი დაბაბავდა სიტუაციას და შეასუსტებდა თვით გენერალური მდივნის პოზიციას

ამიტომ გადავწყვიტეთ გაჩუმება და უპირველეს მიზნად ის დავისახეთ, რომ გორბაჩოვი, ყველაზე პროგრესული და დემოკრატიული პიროვნება, დარჩენილიყო თავის პოსტზე. ამით მდგომარეობა გავაადვილეთ, ჩავალთ თუ არა საქართველოში, დამოუკიდებელ კომპარტიას გამოვაცხადებთ, და ეჭვი არ გვეპარება, ამაში ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტი ხელს არ შეგვიშლის. ჩვენს მაგალითს მიბაძავენ: სექტემბერში ესტონეთი, შემდეგ მოლდოვა (ასე დარწმუნებით იმიტომ ვლაპარაკობ, რომ შევხვდით მათ წარმომადგენლებს და ვიცით მათი აზრი).

მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ყველაფერი უნდა მოხდეს ძალზე დინჯად, არ უნდა შეურაცხვყოთ, არ უნდა გავლანძღოთ სხვა ერის წარმომადგენლები, როგორც ამას ზოგი ვვრცა. საჭიროა სტრატეგიული გეზის მართებული განსაზღვრა და სწორი ტაქტიკური მოქმედება. მხედველობაში მაქვს გივი გუმბარიძის პრინციპული, მაგრამ ძალზე თავშეკავებული გამოსვლა, ჩვენი დელეგაციის მეგობრული დამოკიდებულება სხვა დელეგაციებთან. კონფერენციას უნდა მივაღწიოთ პარლამენტური გზით, ნაბიჯ-ნაბიჯ, და არა იერიშითა და თავდასხმებით. ამაში ხელს შეგვიწყობს ახალი წესდების პირველი და ოცდამეორე პუნქტი, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიებს უფლება აქვთ მიიღონ ნორმატიული დოკუმენტები და ამასთანავე შექმნან დამოუკიდებელი კომპარტიები. მოსკოვის სტუდიაციან კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ გარდაქმნის წინსვლას, კონფედერაციის შექმნას ამუხრუჭებს ზოგიერთი „ურა-დემოკრატი“, რომლებიც თვით საინფორმაციო საშუალებებსაც კი ანგარიშის გასასწორებლად იყენებენ.

ყრილობა მუშაობს განსარძობს, უკვე აირჩიეს გენერალური მდივნის მოადგილე — უკრაინის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. ივაშკო. ცენტრალური კომიტეტის წევრებს არჩევა გრძელდება.

კლარა აბრამია,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

მსოფლიოს მეორე ფოლკლორულ ფესტივალზე

ხარაგაული. („კომუნისტის“ საკ. კორ.), ამ ცოტა ხნის წინ კიევში გამართულ მსოფლიო მეორე ფოლკლორულ ფესტივალზე, სსრ კავშირის თოთხმეტი მოკავშირე რესპუბლიკის, მსოფლიოს ჩვიდმეტი ქვეყნის კოლექტივებთან და ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვას ფოლკლორულ ანსამბლებთან ერთად გამოვიდნენ ხარაგაულის რაიონის სოფელ კიცხის ფოლკლორული ჯგუფის „ოდილას“ (ხელმძღვანელი სულიკო ციმაკურიძე) მომღერლები.

ერთი კვირის განმავლობაში ქიტმირისა და კიევის კულტურის სასახლეებსა და პარკებში მსოფლიო ხალხების სიმღერებთან ერთად ლაღად გაისმოდა ქართული სიმღერაც.

ჩვენი ანსამბლების გამოსვლას ყველგან აღფრთოვანებითა და ოვაციებით ხვდებოდნენ. ტაშის გრიალში გაისმოდა ქართველი ერის სიყვარულისა და პატივისცემის შემახილები, თანადგომა და სოლიდარობა, დაუვიწყარი გამოდგა ანსამბლის წევრთათვის ამ ზეიმის გახსნისა და დახურვის ცერემონიალი, შეხვედრები უკრაინელ მშრომელებთან.

ფესტივალის მონაწილე ქართული კოლექტივები სოორგანიზაციო კომიტეტმა დააჯილდოვა დიპლომებითა და საჩუქრებით.

600 კილომეტრი 2000 მანეთად

7-8 ივლისს თბილისსა და მის შემოგარენში მოეწყო პირველი საკავშირო ტურნირი „ოქროს საწმისი-90“ ავტო-რალიში, რომელშიც სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლებისა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ამ შეჯიბრების ორგანიზატორები იყვნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ცენტრი „არგონავტები“ და საქართველოს დოსააფი.

ხანგრძლივ ინტერვალებზე ერთმანეთს ეცილებოდნენ ეროვნული ჩემპიონატის ლიდერები, ალ. ბოლოვინი, ალ. ბოლოვინი, ალ. ბოლოვინი